პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. ც. კ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი, 17 დეკემბერი 1935 წ. № 291 (4447)

საქართველოს ერეკვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

— ჯანსაღი ტრაქტორი სოციალისტურ მინდვრებს (მეთაური)
— სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკკ.ც.კ.-ის დადგენილება
— ამხ. ვ. ი. მეშლაუკის მოხსენება სკკ. ც. კ. (ბ) ც. კ-ში მშენებლობის საკითხებზე გამართულ თათბირზე
— მაღალი პოლიტიკური დონე — კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კანპანიას
— ა. კ. დელეგაცია ჩრდილოეთ კავკასიაში
— ალაზნელ კომბაინერთა თვითთვალდებულება
— ბ. ულენტი — „ჩატეხილი ხიდი"
— ტრ. ხუნდაძე — ყურადღება, სამოქალაქო ისტორიის სწავლებას
— ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ მასარიკის გადადგომა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკკ. ც. კ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილება

იმის გამო, რომ თათართა ასსრ, საქართველოს სსრ, ნა რკოკვისა და ორენბურგის ოლქებმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკკ. ც.კ. (ბ) ც.კ. მიერ მათთვის დაწესებული პურის ჩაბარების წლიური გეგმა შეასრულეს და თესლით უზრუნველჰყვეს საგაზაფხულო თესვა, სსრ კავშირის სახკომსაბჭო და სკკ. ც. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ნება მიეცეთ ჩამოთვლილი რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მშრომელთა ერთპიროვნულ მეურნეობებს და -ბრკოლებლივ მიჰყიდონ თავისი პურ (ფქვილად, მარცვლად და გამომცხვარი) კოოპერატიულ ორგანიზაციებს და გაჰყიდონ იგი ქალაქისა და სოფლის ბაზარსა და რკინიგზის სადგურებზე.

სსრ კავშირის სახალხო კომისარ საკ. ც.კ. (ბ) ცენტრალური ...ა საბჭოს თავმჯდომარე კომიტეტის მდივანი

ვ. მოლოტოვი ი. სტალინი.

1935 წ. 15 დეკემბერი.

□ □ □

ჯანსაღი ტრაქტორი სოციალისტურ მინდვრებს!

ტრაქტორების და მანქანების შენახვის საქმე არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აგრეთვე რემონტი, რადგან აქამდის არ სურთ გაიგონ, რომ რემონტის საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე და საშუალო რემონტი და არა კაპიტალური რემონტი. რაც შეეხება ტრაქტორების და მანქანების გამოყენებას, ამ საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმდენად აშკარა და საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამას არც დამტკიცება სჭირია".

გავიდა დაახლოვებით ორი წელიწადი მას შემდეგ, რაც დიდმა ბელადმა მე-17 პარტყრილობის ტრიბუნიდან ახე შეიფასა ჩვენი სამოწამიმქმედო ორგანოების მუშაობა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების საქმეში ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, გაძლიერდა სატრაქტორო პარკის რაციონალურად გამოყენება. დიდად გაძლიერდა ტრაქტორებით სოფლის მეურნეობის მომსახურეობა. მაგრამ, პიოხიდავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს საბჭოთა მეურნეობის განკარგულებაში არსებულ 552 ტრაქტორიდან სარემონტო სახელოსნოების დერეფანში დგას და შეკეთებას მოითხოვს 429 ტრაქტორი ანუ ტრაქტორთა მთელი რაოდენობის 76 პროცენტი.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხაზით აქ 1035 ტრაქტორიდან. რომელიც აქვთ მტს-ებს, საშუალო და კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება 894 ტრაქტორს, ანუ 85 პროცენტს.

განა ეს ფაქტი არ ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ბევრგან უმგვანოდ, უსულგულოდ, ეპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ისეთი ძვირფასი მანქანის გამოყენებას, როგორიცაა ტრაქტორი?

მთელ რიგ მტს-ბში და საბჭოთა მეურნეობებში ძალიან ნაკლებად ზრუნავენ, რომ საწარმოო გეგმის შესრულებასთან ერთად რიგიანად დაიცვან ტრაქტორი და მთელი მისაბმელი ინვენტარი. რატომღაც იქმნება ასეთი წესი: შესრულდება თუ არა ხვნის ან მოსავლის აღების გეგმა, ტრაქტორების 70—80 პროცენტი უსათუოდ კაპიტალურ და ზშუალო რემონტში უნდა დადგეს! რატომ, რა აუცილებლობა იწვევს ამას? ცხადია, არაფერი, გარდა იმისა, რომ მტს-ბის და საბჭოთა მეურნეობების ბევრი მუშაკი ბოლშევიკურად არ ზრუნავს თვითეული ტრაქტორზე, არ ზრუნავს ტრაქტორის ნაკუთფიერად ათვისებასა და მისი დაზიანების თავიდან აცილებაზე.

შირაქის საბჭოთა მეურნეობამ ახლახან უპატაკა რაიონულ და ცენტრალურ ორგანიზაციებს მძრალად ხვნის გეგმის შესრულება. ეს, რასაკვირველია, დიდი მიღწევაა. მაგრამ არაფრად ვარგა, რომ ამ გეგმის შესრულების შემდეგ იქ კაპიტალური რემონტი სჭირდება ტრაქტორების 50 პროცენტს.

ასეთივ იყო ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების კამპანია წელს მეურნეობას ურიგოდ არ ჩაუტარებია. მაგრამ ბოლოს გამორკვა, რომ სარემონტოდ გამოსულია ტრაქტორების და კომბაინების მეტად საგრძნობი რაოდენობა.

ნუთუ არ შეიძლება ჩვენმა სატრაქტორო პარკმა იმუშაოს ისე, რომ თავიდან აიცილოს ავარიები, ტრაქტორთა დაზიანება და კაპიტალური რემონტის ხშირი საჭიროება?

რასაკვირველია, შეიძლება!

ჩვენ ხომ გვყავანან სტახანოველი ტრაქტორისტები, ბრიგადირები და ინჟენერ-ტექნიკოსები, ტრაქტორების მოვლასა და გამოყენებაში სანიმუშო მაგალითებს რომ იძლევიან!

ავიღოთ ლაგოდეხის მტს-ს სტახანოველი ტრაქტორისტის გრიგოლაშვილის მუშაობის მაგალითი. ყველა სახის სამუშაოთა ხვნაზე გადაყვანილ გრიგოლაშვილმა გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა. მის ტრაქტორს კი წლის ბოლოს არ დასჭირებია არც საშუალო, არც კაპიტალური რემონტი.

კიმოთე გორელიშვილ შირაქის საბჭოთა მეურნეობაში დღიურად დაწესებულ ორნახევარი ჰექტარის ნაცვლად ხნავს 5-6 ჰექტარს და წელს მის ტრაქტორს შეკეთება არ დასჭირებია.

ეს მოწინავე ტრაქტორისტები სრულიადაც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. ტრაქტორისტ სტახანოველთა რიგები ყოველდღიურად იზრდება. მათი მუშაობის იამოცდილება ამტკიცებს, რომ ყველა მტს-ს, საბჭოთა მეურნეობას და ტრაქტორისტთა ბრიგადას შეუძლია იმუშაოს უფრო მეტი ნაყოფიერებთ, იმუშაოს ისე, რომ საწარმოო დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მინიმუმამდე დაიყვანოს ტრაქტორის დაზიანება, ძალზე შეამციროს კაპიტალური რემონტის საჭირო ბა, სრულიად მოხსნას ავარიები და სტახანოვური ნაყოფიერებთ გაადიდოს თვითეული ტრაქტორის გამომუშ ვება.

ამას კი მივაღწევთ იაშინ, როდესაც მტს-ის დირექციები, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და სამიწათმოქმედო ორგანოები მიზნად დაის ხავენ—უდრ ოდ არ მიიყვანონ ტრაქტორი კაპიტალურ რემონტამდე და ოპერატიულად იბრძოლონ ამისათვის, რომ საწარმოო დავალების შესრულებაათან ერთად სრულ წესრიგში იმ ონონ ტრაქტორები მთელი მისაბმელი ინვენტარით.

მეორე მხრივ, გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სარემონ ო სახელოსნოების ნუშაობა. დაუყოვნებლივ უნდა შეიტსოს ეს სახელოსნოები აკალიფიციურ. კადრ ით, აგრეთვე დაზგებით, სარემონტო მუწყობლობით და სათადარიგო ნაწილებით. ამ სახელოსნოების მუშებისა და სპეციალისტების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც მეწსახკომმა, ისე ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

ორი ათასამდე ტრაქტორმა უნდა იმუშაოს მომავალ წელს საქართველოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებზე. ამ უზარმაზარი პარკის უფრო მეტი ეფექტიანობით გამოყენება მოითხოვს ტრაქტორების რემონტის დროულად, მაღალხარისხოვნად შესრულებას, მთელი მისაბმელი ინვენტარის წესრიგში მოყვანას, ტრაქტორისტთა კადრების მომზადებას—გადამზადებას და ბოლშევიკურ ლენინისძიებათა გატარებას ტრაქტორების დაზიანებისა და ავარიების თავიდან ასაცილებლად.

რემონტის მაღალი ხარისხი—აი რა არის მთავარი.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია ჩრდილოეთ კავკასიაში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტ.)

** კისლოვოდსკი,** 16 დეკემბერი დღეს პიატიგორსკში მოწვეულ ამ.-კავკასიის დელეგაციის თათბირზე ჩრდილო-კავკასიის მხარის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად გამოძუშავებულ იქნა დელეგაციის შემდეგი მუშაობის გეგმა.

დელეგაცია გაიყო 6 ჯგუფად. ჯგუფები მიემგზავრებიან ავტონომიურ ოლქებში, სადაც დაჰყოფენ 5 დღემდე, რის შემდეგ თავს მოიყრიან პიატიგორსკში მუშაობის შესაჯამებლად.

24 დეკემბრისათვის პიატიგორსკში დანიშნულია მხარის მეცხოველეობის საუკეთესო ადამიანთა შეკრება, სადაც დელეგაციის წევრები გამოვლენ ინფორმაციით.

დაღესტნის (ცაკის თხოვნით, დელეგაცია მუშაობის დამთავრებისა შემდეგ მთელი შემადგენლობით მიემგზავრება დაღესტან!

□ □ □

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში"

ტყიბული, 16 დეკემბერი. (ტელეგრაფით სპეციალურ-ბოდენტისაგან) სტალინის სახ. მაღაროში ქვანახშირის მბურავეთა ბრიგადებმა დაიწყეს სტახანოვური მეთოდით მუშაობა. 15 დეკემბერს მათ ამოიღეს 481 ტონა ქვანახშირი. — დღიური გეგმის 90 პროცენტი. ამხ. გიორგაძის ბრიგადამ, ნაცვლად 142 ტონისა, ამოიღო 344 ტონა თვითონ გიორგაძემ ამოიღო 18 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 ტონისა; შრომის ნაყოფიერება ... აიყვანა 300 პროცენტამდე.

ასეთივე მიღწევები აქვთ ამხ. კუბლაშვილს, ნანიკაშვილს, ცაცაძეს, ბეშკენაძეს და ფურცხვანიძეს.

სტალინის მაღაროში ბამონგრეული ნახშირი დაგროვილია; რკინიგზა ვაგონებს დროზე ვერ აწვდის.

ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტ მასარიკის გადადგომა

ჩინეთის საგარეო პოლიტიკა

შანხაი, 14 დეკემბერი. საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა ჩიანციუანმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა უკვე გარკვეულია ჩან კაი-შის მიერ. ჩინეთი მშვიდობიანობისთვის იბრძოლებს, თუკი ამ მშვიდობიანობის რაიმე იმედი დარჩებაო. ჩინეთი არ ილაპარაკებს მსხვერპლზე, სანამ ეს მსხვერპლი აუცილებელი არ გახდება. იაპონია-ჩინეთის პრობლემები დიპლომატიური მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს. უნდა გაუჯობესდეს იაპონია-ჩინეთის ურთიერთობაო. (ადს).

□

დაჭრილია 12 სტუდენტი

ბეიპინი, 14 დეკემბერი. ჩინელთა წრეების ცნობებით, 13 დეკემბერს ძინსუას უნივერსიტეტიდან გამოსვლის ცდის დროს დასჭრეს 12 სტუდენტი. რამდენიმე სტუდენტი დაჭრილია უნივერსიტეტში შეპარულ ორ გადაცმულ იაპონელ აგენტთან შეტაკების დროს.

ყველა უნივერსიტეტს, რომელთა სტუდენტებიც გაფიცული არიან იცავს პოლიცია, რომელიც სტუდენტებს შენობიდან არ უშვებს.

ხუთი დიდი უნივერსიტეტის კანცლერებმა (დირექტორებმა), წერილით მიჰმართეს სტუდენტებს და მოუწოდებენ, მეცადინეობა დაიწყეთო. (ადს).

□

ჩინეთის ინტელიგენციის მღელვარება

შანხაი, 14 დეკემბერი. ბეიპინის სტუდენტთა დემონსტრაციის მონაწილეთა დახვრეტა-დაპატიმრება კვლავ იწვევს ჩინითის ინტელიგენციის მღელვარებას. გაზეთები სარგებლობენ იმით, რომ ცენზურის ბლოკადა გარღვეულია და აშკარად ესარჩლებიან სტუდენტთა მოძრაობას (ადს).

□

ეივე—მსოფლიო ჩემპიონი

ამსტერდამი, 15 დეკემბერი. ალიოხინ-ეივეს საჭადრაკო მატჩის თე-30 პარტია, რომელიც დღეს 2.000 მაყურებლის თანდასწრებით იქნა გათამაშებული, მე-40 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ამგვარად, მსოფლიოს პირველობაზე დამთავრებული მატჩის ანგარიში ასეთია: **14½—15½ ეივეს** სასარგებლოდ (ადს).

საფრანგეთის გონებრივი შრომის მუშაკთა მიმართვა

პარიზი, 14 დეკემბერი. გონებრივი შრომის მუშაკთა ანტიფაშისტურმა კომიტეტმა გამოუშვა მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ ფრანგი მეცნიერები რიგე, ალენი და ლანჟევენი. მიმართვაში ნათქვამია: „მოვითხოვოთ დებატების გახსნა დეპუტატთა პალატაში ხორისა და ლავალის შეთანხმების საკითხზე, რათა ბოლო მოვუღოთ იმ პოლიტიკას, რომელიც ძირს უთხრის ერთა ლიგის წესდებას და აწესებს აგრესიისათვის „ჯილდოს მიცემის უმაგალითო პრინციპს"

ინგლისის ელჩის ფიპსის ჰიტლერთან საუბრის შესახებ

ბერლინი, 15 დეკემბერი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგის" აზრით, რომელიც კომენტარიებს უძღვნის ფიპსის მიერ ჰიტლერის ნახვას, ფიპსის დარბაზობა, როგორც კტყობა, ნაკარნახევი იყო ლონდონის სურვილით, რათა საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოეშორებინათ აბისინიის კონფლიქტისაგან. გაზეთი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, საუბრის დროს ინგლისს არ წამოუყენებია ერთა ლიგაში გერმანიის დაბრუნების საკითხი. (ადს).

ვენა, 15 დეკემბერი. „ნეიე ფრეიე პრესეს" ბეოლინელი კორესპონდენტი ეხება ჰიტლერის საუბარს ფიპსთან და იუწყება: „განხილულ იქნა გერმანიის დიპლომატიის დაბრუნების შესაძლებლობა იმის

ცდებისკენ, რომ განსაკუთრებული ძეთანხმება მოახდინონ ინგლისთან" შეძდეგ ალნიშნავენ, ძალიან დაწვრილებით განიხილეს საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულება ურთიერთ დახმარების შესახებო. კორესპონდენტი ალნიშნავს, რომ გერმანიის თვალსაზრისის თანახმად — ეს ხელშეკრულება ლოკარნოს პაქტის საფუძველს ეხება და ამბობს: საუბარში „ეკვლავ ხაზი გაუსვეს, რომ არც შეიარაღების შეზღუდვის, არც საჰაერო პაქტის დადების საკითხი არ შეიძლება განხილულ იქნას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისგან გამოცალკევებით. როგორც სხვადასხვა წყაროები იუწყებიან, ფიპსს თავის მხრივ არავითარი წინადადება არ წამოუყენებია" (ადს).

პარიზი, 15 დეკემბერი. მთელი პრესის ბერლინელი კორესპონდენტების ცნობები ეხება ჰიტლერისა და ინგლისის ელჩის ფიპსის შეხვედრას. გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას, ფიპსთან ამ შეხვედრას რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეუტანია მდგომარეობაში და საუბარს ურთიერთ-ინფორმაციისა და ნიადაგის მოსინჯვის ხასიათი ჰქონდაო (ადს).

რომი, 15 დეკემბერი. „მესაჯეროს" ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, ჰიტლერისა და ინგლისის ელჩის ფიპსის საუბარი ბერლინში ინგლისის ინიციატივით გაიმართა. როგორც გაზეთი ალნიშნავს, ინგლისის ელჩი ცდილობდა საუბარში დაესვა შეიარაღების შეზღუდვის საკითხი. „მესაჯეროს" სიტყვით ჰიტლერმა კი „გაცილებით უფრო მეტი ინტერესი ვამოიჩინა ლოკარნოს ხელშეკრულების ხელახლა მოშენერ ქვეყნებს შორის საჰაერო პაქტის პროექტისადმი", ვინაიდან მისი აზრით ამ საკითხს უნდა დაეკავებინა ყველა დანარჩენი საკითხი (ადს).

ფოტო ერ. სილდირიანცისა

არჩილ ღუდუშაური

წნორის მტს-ის სტახანოველი კომბაინერი, კომბაინერთა საკავშირო თათბირის მოხაწილე, საკავშირო ცაკის მიერ საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებული

□ □ □

ალაზნელ კომბაინერთა თვითვალდებულება

(„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

15 დეკემბერს ალაზნის მარცვლეულია საბჭოთა მეურნეობაში შესდგა **სტახანოველ კომბაინერთა და ტრაქტორისტთა შეკრება,** დაკავებულები საკავშირო ცაკის დადგენილებასთან მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა დაჯილდოების შესახებ.

შეკრებაა დაესწრენ: სიღნაღის პარტრაიკომის მდივანი ამხ. არ. წითლიძე, მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. ხ. მიქელაძე, სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ალავერდაშვილი, მეურნეობის პარტიული და კომკავშრული აქტივი.

შეკრებაზე „კომუნისტის" სპეციალური ბრიგადა გამოვიდა ინფორმაციით მოწინავე კომბაინერთა დაჯილდოების შეაახებ. კომბაინერები განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდენ ცნობას, რომ წნორის მტს-ის საუკეთესო კომბაინერი ამხ **არჩილ ღუდუშაური ... ორდენით.**

ალაზნელი კომბაინერები ალავრთოვანა ამ ამბავმა და მათ ...კისრეს ახალი ვალდებულებები. სიტყვებით გამოვიდა ოცამდე კომბაინერი. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ...ეულიდა ხელს მათ მუშაობას შარშან. კომბაინების რემონტის ხარისხის აძაღლება, საწვავი მასალის ეკონომია, მეუფერხებელი მუშაობა ძიდვრად, დამაკარგების მინიმუმამდე დაყვანა, ძიდვრების გაწმენდა ხერგისა და სარეველა ბალახებისაგან — აი რას ...ალაზნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები. მათ დაადეს პირობა, რომ იმუშავებენ ღუდუშაურისებურად.

— თუ ღუდუშაურმა შარშან აიღო მოსავალი 300 ჰექტარზე, მე კისრულობ მომავალ სეზონში ავიღო 440 ჰექტარზე. — ლაპარაკობს მოწინავე კომბაინერი **ტუხაშვილი.**

— მე ავიღებ 400 ჰექტარზე — აცხადებს კომბაინერი **პრეობრაჟენსკი.** და მისი ვალდებულება ამით კი არ ამოიწურება. იგი კისრულობს აიწვავი ძასალის ხარჯვაში ...ოვლეს ეკონომია 25 პროცენტით.

— ღუდუშაურს დავეწიოთ და ...ეცდებით კიდეც გავუსწროთ. — განაცხადეს მთელმა რიგმა კომბაინერებმა.

დასასრულ ალაზნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერებმა ამხ ღუდუშაურს გაუგზავნეს მილოცვა, ...ომელსაც აქვე ვათავსებთ

წნორის წყალი, მტს-ის დირექცია

კომბაინერ ღუდუშაურს

ჩვენ, ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო კომბაინერებისა და ტრაქტორისტების შეკრებას „კომუნისტის" ბრიგადამ გადმოგვცა ცნობა იმის შესახებ, რომ შენ საკავშირო ცაკის მიერ დაჯილდოვებული ხარ საპატიო ნიშნის ორდენით.

სიხარულით გილოცავთ ამ უდიდეს ჯილდოს. რომელიც პატიოსანი, სტახანოვური მუშაობისათვის მოგანიჭა საბჭოთა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ.

ამხანაგო **არჩილ!** დღეს, 15 დეკემბერს, ალაზნის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე კომბაინერებისა და ტრაქტორისტების შეკრებაზე გამოვეხმაურეთ შენს მოწოდებას და ვიღიღეთ ვალდებულება—კომბაინის გამომუშავება სეზონში ავიყვანოთ საშუალოდ 250-დან 350 ჰექტარამდე, ხოლო ცალკეულმა კომბაინერებმა, მაგალითად ილია ხოვუტოვმა, ალექსი კიდენკომ იკისრეს მომავალ სეზონში მოსავალი აიღონ 380—400 ჰექტარზე.

გაძლევთ კომბაინერის მტკიცე სიტყვას, რომ ამ დავალებას გავანაღდებთ საქმით. **ალაზნის ველზე ჩვენ გიჩვენებთ როგორ უნდა პირველობი ათვის ბრძოლა. იმედი გვაქვს შირაქსა და უკანამხარეში შენ და შენი მოწინავე ამხანაგები გაანაღდებთ გელადისადმი მიცემულ საბრძოლო დაპირებას**

ალაზნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები:

ფულაია, სავენკო, შაცკი, პილენკო, გაბირ, ბანჩაროვი, პრეობრაჟენსკი, სიმონოვი, ლომანოვი, ნადირაშვილი, ტუხაშვილი, კეტუნოვი, დანიელიანი, ნაცვლიშვილი, მიხაილოვი, ტკაჩენკო, სიანოვი.

ალაზნელ კომბაინერთა ... ...

(„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

15 დეკემბერს ალაზნის მარცვლეულია საბჭოთა მეურნეობაში შესდგა **სტახანოველ კომბაინერთა და ტრაქტორისტთა შეკრება,** დაკავებულები საკავშირო ცაკის დადგენილებასთან მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა დაჯილდოების შესახებ.

შეკრებაა დაესწრენ: სიღნაღის პარტრაიკომის მდივანი ამხ. **არ. წითლიძე,** მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. **ხ. მიქელაძე,** სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **შ. ალავერდაშვილი,** მეურნეობის პარტიული და კომკავშრული აქტივი.

შეკრებაზე **„კომუნისტის"** სპეციალური ბრიგადა გამოვიდა ინფორმაციით მოწინავე კომბაინერთა დაჯილდოების შეაახებ. კომბაინერები განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდენ ცნობას, რომ წნორის მტს-ის საუკეთესო კომბაინერი ამხ **არჩილ ღუდუშაური დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.**

ალაზნელი კომბაინერები ალავრთოვანა ამ ამბავმა და მათ აკისრეს ახალი ვალდებულებები. სიტყვებით გამოვიდა ოცამდე კომბაინერი. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ...ეულიდა ხელს მათ მუშაობას შარშან. კომბაინების რემონტის ხარისხის აძაღლება, საწვავი მასალის ეკონომია, მეუფერხებელი მუშაობა ძიდვრად, დამაკარგების მინიმუმამდე დაყვანა, ძიდვრების გაწმენდა ხერგისა და სარეველა ბალახებისაგან — აი რას ...ალაზნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები. მათ **დაადეს** პირობა, რომ **იმუშავებენ ღუდუშაურისებურად.**

— თუ ღუდუშაურმა **შარშან** აიღო მოსავალი 300 ჰექტარზე, მე კისრულობ მომავალ სეზონში ავიღო 440 ჰექტარზე. — ლაპარაკობს მოწინავე კომბაინერი **ტუხაშვილი.**

— მე ავიღებ 400 ჰექტარზე — აცხადებს კომბაინერი **პრეობრაჟენსკი.** და მისი ვალდებულება ამით კი არ ამოიწურება. იგი კისრულობს აიწვავი ძასალის ხარჯვაში ...ოვლეს ეკონომია 25 პროცენტით.

— ღუდუშაურს დავეწიოთ და ...ეცდებით კიდეც გავუსწროთ. — განაცხადეს მთელმა რიგმა **კომბაინერებმა.**

დასასრულ ალაზნის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერებმა ამხ ღუდუშაურს გაუგზავნეს მილოცვა, ...ომელსაც აქვე ვათავსებთ

წნორის წყალი, მტს-ის დირექცია

... ...

მშენებლობის გაიაფება 1936 წ. საალმშენებლო პროგრამის გადამწყვეტი რგოლია

ამხ. ვ. ი. მ ე ჟ ლ ა უ კ ი ს მოხსენება მშენებლობის საკითხების გამო საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ში შემდგარ კონფერენციაზე*)

ამხანაგებო! პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში უდიდესი მშენებლობა გავშალეთ ჩვენს ქვეყანაში. ამის შედეგად შეიქმნა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ბაზა —ტექნიკურად მოწინავე, მძლავრი მძიმე მრეწველობა; შეიქმნა ახალი, უახლესი ტექნიკით შეიარაღებული, კვების მრეწველობა; ათასობით აგებული ახალი საწარმოები მსუბუქ მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სასოფლო მეურნეობაში და სხ.

მშენებლობის ასეთი ფართო პროგრამის განხორციელების შედეგად პირველი ხუთწლედის ოთხნახევარი წლის მანძილზე სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში დაბანდებულია 52,5 მილიარდი მანეთი და მეორე ხუთწლედის პირველი 3 წლის მანძილზე—62,5 მილიარდი მანეთი.

ამ ხნის განმავლობაში ასობით აგრო უდიდესი საწარმონი, ათასობით—შუათანა საწარმონი, ათიათასობით წვრილი საწარმონი. გაყვანილ იქნა მრავალი ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზები, მეორე ხაზები და სხვა.

მშენებლობის დარგში მიღწეული უდიდესი წარმატებანი იმდენად აშკარაა, რომ ამას ვერავინ უარყოფს! ეს სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულება 110 მილიარდ მანეთს აღემატება, განხორციელებულია ჩვენი მშენებლების ძალებით.

მშენებლობის მსვლელობაში დაგროვდა მუშაობის უდიდესი გამოცდილება, შეიქმნა უაღრესად გამოცდილი, კვალიფიციური, სოციალიზმის საქმის ერთგული მშენებელთა კადრები. მშენებლობაში ათასობით დანერგილია პირველხარისხოვანი მექანიზმები. შეიქმნა და ფართოდ გაიშალა საპროექტო ორგანიზაციათა ქსელი, რომელთაც უკვე შეუძლიათ დამოუკიდებლად გაუწონ სამსახური ჩვენი მშენებლობათა ყველა საჭიროებას უკლებლივ. ყოველივე ეს უძვირფასეს მონაპოვარს. უძვირფასეს კაპიტალს წარმოადგენს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალ მშენებლობაში გვაქვს ფრიად არსებითი და სერიოზული ნაკლულოვანებანი, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ და აღმოვფხვრათ. უკანასკნელი წლების განმავლობაში მშენებლობამ იწყო ჩამორჩენა მრეწველობისაგან, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნებისაგან.

მშენებლობის ძირითადი და მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ, მრეწველობისაგან განსხვავებით, რომელიც 1933 წლიდან დაწყებული თვითღირებულების შემცირების გზას დაადგა, ხოლო 1935 წელს თვითღირებულების შემცირების გეგმას გადაჭარბებით ასრულებს, მშენებლობის დარგში მთელი რიგი წლების მანძილზე ჩვენ მის გაძვირებას ვხედავთ. მხოლოდ 1934 წელს დაისახა ერთგვარი ძვრა თვითღირებულების შემცირებისაკენ, მაგრამ ამ შემცირების ტემპები ჭეშმარიტად კუს ნაბიჯს წააგავს და არ დაჩქარებულა 1935 წელსაც.

ამასთან ერთად, მშენებლობაში მთელი რიგი წლების მანძილზე მთლიანად არ სრულდება ახალი ობიექტების საექსპლოატაციოდ გაშვების გეგმა. მრეწველობისა და ტრანსპორტისაგან განსხვავებით, რომლებმაც ამხ. **სერგო ორჯონიკიძისა და ლ. მ. კაგანოვიჩის** ხელმძღვანელობით, თავისი მუშაობის გარდაქმნის საფუძველზე, გეგმათა შესრულებაში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს,—მშენებლობას დააგვიანებდა თავის მუშაობის გარდაქმნა, მუშაობის სტახანოვური მეთოდების დანერგვა. საამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებანი საკმაო სისრულითა და ამომწურავი სიცხადით აღნიშნა ამხ. მოლოტოვმა **სტახანოველთა თათბირზე** წარმოთქმულ სიტყვაში.

I. მ ა ღ ა ლ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ა მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს ლ ა ხ ვ ა რ ი ა

უკანასკნელი წლების განმავლობაში მშენებლები სისტემატურად ფუშავენ მშენებლობის ღირებულების შემცირების დაწესებულ გეგმებს.

მხოლოდ მეორე ხუთწლედის განმავლობაში დაიწყო მშენებლობის ღირებულების ერთგვარი შემცირება, მაგრამ იგი ისე ნელი ტემპით ხდება, რომ ვერ დაგვაკმაყოფილებს. 1933 წელს საამშენებლო ორგანიზაციების წინაშე დასმული იყო ამოცანა—მშენებლობის ღირებულება 15 პროცენტით შეემცირებინათ. ამის მაგივრად შემდგომი გაძვირება მივიღეთ. 1934 წელს მშენებლობას თვითღირებულება 15 პროცენტით უნდა შეემცირებინა. ფაქტიურად კი თვითღირებულება დაახლოებით 1 პროცენტით შემცირდა. 1935 წელს პარტიამ მშენებელთა წინაშე კვლავ დაყენა ამოცანა. მიიღწიათ თვითღირებულების 15 პროცენტით შემცირებისათვის. ფაქტიურად კი თვითღირებულება შემცირებულ იქნება, სულ ბევრი, 1—1,4 პროცენტით.

განსაკუთრებით დიდ გაძვირებას ვხედავთ მშენებლობის ერთიერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე—საბინათო მშენებლობაზე. თუ რკინაბეტონის, ბეტონის, აგურის კუბიკური მეტრი შენობის ღირებულება 1930 წელს 22,8 მანეთს შეადგენდა, სამაგიეროდ 1934 წელს იგი უკვე ავიდა 52 მანეთამდე, ხოლო არც 1935 წელი იძლევა შემცირებას.

მაგრამ მშენებლობის ფაქტიური გაძვირება საგრძნობლად ამაზე უფრო მეტია. აღრიცხვის არსებული ფორმები ამდენად არადამაკმაყოფილებელია, რომ ისინი საშუალებას არ გვაძლევენ გამოვაშკარაოთ საამშენებლო სამუშაოთა ღირებულების ნამდვილი სურათი. გაძვირება აძალებ (გამოტოვებულია) საბარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით, მაგრამ ჩვენი მშენებლები თვითონ ბარჯთაღრიცხვებს ძალიან ხშირად გადასინჯავენ ხოლმე და ამასთან გადიდების მხრივ. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ავიღოთ ისეთი დიდი მშენებლობა, როგორიც არის ბალხაშის სპილენძ-გამოსადნობი კომბინატი. ამ კომბინატის მშენებლობაზე უკვე გადახარჯულია 40 მილიონი მანეთი. ამასთან აღრიცხვის დაყენების იმ სისტემის გამო, რომელიც ბალხაშში იყო, დღემდე შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რაზე დაიხარჯა ეს ფული.

მოლოტოვი. ამასაც აღრიცხვა ეწოდება.

მეჟლაუკი. ამასაც, ვიაჩესლავ მიხეილის ძეს, სამწუხაროდ, აღრიცხვა ეწოდება.

ტულის ლითონმშენის ბარჯთაღრიცხვო ღირებულება 154 მილიონ მანეთს შეადგენს. მან შეასრულა 145 მილიონ მანეთის სამუშაო. ამასთან შესრულებულ სამუშაოებზე, ბარჯთაღრიცხვასთან შედარებით, უკვე გადახარჯულია 37 მილიონი მანეთი, რაც შეადგენს 25 პროცენტით გაძვირებას; დნეპროპეტროვსკის ალუმინის კომბინატმა შეასრულა 138 მილიონ მანეთის სამუშაო, ბარჯთაღრიცხვასთან შედარებით ზედმეტი დახარჯა 43 მილიონი მანეთი; გორლოვკას აზოტ-სასუქის კომბინატმა გადახარჯა 30 მილიონი მანეთი, აქედან 8 მილიონი მანეთი ბარჯთაღრიცხით გაუთვალისწინებელ ობიექტებზე, ხოლო 22 მილიონი მანეთი შეადგენს პირდაპირ გაძვირებას ბარჯთაღრიცხვასთან შედარებით.

მაგნიტოგორსკის ქარხანაში №№ 5 და 10 მარტენებზე ფაქტიურად გადახარჯულია 16 პროცენტით მეტი ბარჯთაღრიცხვით დაწესებულთან შედარებით. გადახარჯული თანხა—სამი მილიონი მანეთი — დიდი არ არის, მაგრამ გაძვირების პროცენტი, თუ მას მაგნიტოგორსკის კომბინატის მშენებლობის ყველა ობიექტს მივაკუთვნებთ, შედეგად ფრიად თვალსაჩინო გაძვირებას მოგვცემს.

ყველაფერი ეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მშენებლობებია. სხვა სახალხო კომისარიატების მშენებლობათა მხრივ მდგომარეობა კიდევ უარესია. მაგრამ სხვა უწყებათა ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს სწორი ანგარიშგების დაწესება და ამით თვითონაც ჰკარგავენ და ჩვენც გვართმევენ საშუალებას დავინახოთ, თუ რამდენად ძვირდება მათი მშენებლობა.

ორჯონიკიძე. სამაგიეროდ ისინი კარგად გამოიყურებიან.

მეჟლაუკი. მე ამას ვერ ვიტყოდი (სიცილი).

მშენებლობის პირდაპირი გაძვირების გარდა, ჩვენ ვხედავთ კიდევ სხვანაირ გაძვირებასაც—შინიღბულ გაძვირებას.

მოლოტოვი. რომელი სკობს?

მეჟლაუკი. ჩემი აზრით, არც ერთი არ ვარგა. მაგრამ პირდაპირი გაძვირების დროს ბოროტება ერთბაშად აშკარავდება, მაშინ როცა შინიღბული გაძვირება წაგავს მუწუკს, რომელიც ჯერ უნდა მოსძებნო, ხოლო შემდეგ გასჭრა.

კაგანოვიჩი. ჩემის აზრით, პირდაპირს გაძვირებაში არის შინიღბული, ხოლო შინიღბულში პირდაპირი გაძვირება. იმიტომ, რომ ბარჯთაღრიცხვის ფრიად უხეიროდ ადგენენ.

ხმები.—აი ეს მართალია!

მეჟლაუკი. ამხ. კაგანოვიჩი სავსებით მართალია, როცა სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო საქმის უხეირო ორგანიზაციაზე მიგვითითებს, მაგრამ ზოგი მშენებელი უმართებულოდ ცდილობს ყველაფერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმეს დაბარალოს. მთელი რიგი მშენებლობანი უკვე გაახარა იმან, რომ შეუძლიათ ყველაფერი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმეს გადააბრალონ. მაგრამ, ცხადია, გაძვირების მთავარი მიზეზი მშენებლები არიან, რადგან მშენებლები ასრულებენ ბარჯთაღრიცხვას, და არა ბარჯთაღრიცხვა-მშენებლებს.

ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მთელ რიგ მშენებლობებზე ხდება ბარჯთაღრიცხვათა განუწყვეტელი გადასინჯვა მათი გადიდების მხრივ.

მაგრამ როცა ეს მშენებლები მოითხოვენ მთელ რიგ მშენებლობათა 1936 წლის ბარჯთაღრიცხვების გადასინჯვას, ისინი სრულიად არ ჩაჰფიქრებიან იმას, შესაძლებელია თუ არა ამ მშენებლობათა გაიაფება. ამავე დროს კი განვითარება სტახანოვური მოძრაობისა, რომელიც ფორდაუფრო ფართოვდება, მექანიზმების უკვე შექმნილი მძლავრი პარკის გამოყენება, უზომოდ გაბერილი ზედნადები ბარჯების მკაცრად შემცირება და სხვ. მოწმობენ, რომ საამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შესამცირებლად არსებობენ უდიდესი და უფროდაუფრო მზარდი შესაძლებლობანი.

ჩვენ სავსებით უნდა შევსწყვიტოთ ბარჯთაღრიცხვების ასეთი გადასინჯვა და მოვსთხოვოთ მშენებლებს სამუშაოთა შესრულება დამტკიცებული ბარჯთაღრიცხვების ფარგლებში. როცა ამას ბოლოს მოვუღებთ, ჩვენ მივაღწევთ მშენებლობათა ღირებულების თვალსაჩინოდ გაიაფებას.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკებზე. კერძოდ სამრეწველო ბანკზე. არსებითად მანეთით კონტროლი მშენებლობაზე ამჟამად არ ხდება. და ამაში ჩვენი ბანკებიც დიდად არიან დამნაშავენი. ბანკები მთავრობას გაძვირების შესახებ სიგნალს მხოლოდ **მაშინ აძლევენ, როცა ბარჯთალ-**

***) ამხ. მეჟლაუკის მოხსენება იბეჭდება შემოკლებით.**

II. 1936 წლის საამშენებლო პროგრამა

1936 წელს უნდა განხორციელდეს გაუგონარი გაქანების საამშენებლო პროგრამა. 1936 წლის საამშენებლო მუშაობის მოცულობა დაახლოებით 32 მილიარდი მანეთით განისაზღვრება. მათ შორის წმინდა მშენებლობის (მოწყობილობას გარდა) ღირებულება შეადგენს 16.5—17 მილიარდ მანეთს.

ყველაზე სწრაფი ტემპებით იზრდება კაპიტალდაბანდება კომუნალურსა და სამინაო მშენებლობაში, საავადმყოფოთა მშენებლობაში, ერთი ოთხად იზრდება ასიგნება სასკოლო მშენებლობისათვის, მატულობს კაპიტალური დაბანდებანი აგრეთვე მსუბუქ მრეწ. სახალხო კომისარიატის და კვების სახალხო კომისარიატის მრეწველობის დარგში. მძიმე მრეწველობა 1936 წელს 8,5 მილიარდ მანეთს ღებულობს, ე. ი. იმდენსავე, რამდენიც 1935 წელს მიიღო.

მძიმე მრეწველობის მძლავრი ტექნიკური ხელახალი შეიარაღება, რომელიც ამ ბოლო წლებს მოხდა. ახალი ტექნიკისა და ახალი საწარმოების ათვისების ფართოდ გაშლილი პროცესი, რომელიც ოდიდან რეზერვების ამოღებაზეს მძიმე მრეწველობაში, უფრო და უფრო ფართოდ გაჩაღებული სტახანოვური მოძრაობა სავსებით იძლევა საშუალებას, რათა დაწესებული საწარმოო პროგრამის შესასრულებლად დავჯერდეთ მძიმე მრეწველობისთვის კაპიტალური დაბანდებათა დასახულ მოცულობას.

პარტია და მთავრობა, აწესებენ რა 1936 წლისათვის მშენებლობის ასეთ ფართო პროგრამას, ამავე დროს მშენებელთა წინაშე მომავალი წლის უმთავრეს ამოცანად აყენებენ მშენებლობის თვითღირებულების 11 პროცენტით შემცირებას, ე. ი. ამოცანას, რომ გაწეული იქნას დაახლოვებით 3,5 მილიარდ მანეთის ეკონომია, რომელიც შეიძლება ნაყოფიერად გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის სხვა უბნებში.

ამის მიხედვით, ფინანსირების საერთო თანხა 11 პროცენტით ნაკლები იქნება, ვიდრე კაპიტალური მშენებლობის დაწესებული მოცულობა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, დაახლოვებით 32 მილიარდ მანეთს შეადგენს. ეს საშუალოდ სახალხო კომისარიატების ხაზით. სახალხო კომისარიატები ვალდებული არიან შემდეგ ეს დავალება თვითეულ მშენებლობამდე დაიყვანონ.

ამ მშენებლობებზე, რომლებმაც ღირებულების შემცირებაში უკვე თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს, დაკვალება შეიძლება ნაკლებიც იყოს. იმ მშენებლობებზე, რომლებსაც დიდი რეზერვები აქვთ, შეიძლება 33—40 პროცენტით შეეამციროთ. და ეს სრულიად არ იქნება გასაკვირი

ეს არის დავალება, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა ყველა ჩვენგანს, უწინარეს ყოვლისა მშენებლებს, დავალება, რომელიც მთლიანად უნდა შესრულდეს.

ამას რომ მივაღწიოთ, საჭიროა სამუშაოთა წმინდა მშენებლობის ღირებულება მთლიანად მთელ სახალხო მეურნეობაში 14 ნახ. პროცენტით მაინც შევამციროთ, მათ შორის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში—15,5 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში—15 პროცენტით, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატში—14,5 პროცენტით, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში—15 პროცენტით, გზათა სახალხო კომისარიატში—15 პროცენტით. ეი ის დავალებანი, რომლებიც პირდაპირ მიცემული აქვთ მშენებლობას.

მშენებლობის ღირებულების შემცირების ამ დავალების განხორციელება სავსებით შესაძლებელია, მეტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ სახკომსაბჭომ ამავე დროს გამოიტანეს გადაწყვეტილება მომავალი წლისათვის მოწყობილობის ფასების დაკლების შესახებ. რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სახალხო კომისარიატებისათვის, როგორიც არის მიწსახკომი, სადაც მოწყობილობის ხვედრითი წონა კაპიტალურ სამუშაოთა საერთო მოცულობაში ფრიად თვალსაჩინოა.

მშენებლებმა უნდა შეიგნონ, რომ აღნიშნული ოდენობით მშენებლობის ღირებულების გასაიაფებლად მათ უნდა მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების უდიდეს ზრდას. იმავე გადაწყვეტილებით საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ-ის სახკომსაბჭომ მშენებლებს ამოცანად დაუყენეს გადიდონ შრომის ნაყოფიერება 1936 წელს სულ მცირე 30 პროცენტით.

ამავე დროს მშენებელთა წინაშე დასმულია ამოცანა, სულ ცოტა 25 პროცენტით შეამცირონ ადმინისტრაციული - სამეურნეო ხარჯები და 10 პროცენტით იმ საშენ მასალათა ღირებულება, რომლებიც საშენ მოედნებზე მზადდება.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვფიქროთ, რომ ამ დავალებათა მთლიანი და უსათუოდ შესრულება შესაძლებელია.

მშენებლები 1936 წელს საგრძნობლად უკეთ იქნებიან შეიარაღებულნი, ვიდრე 1935 წელს იყვნენ. თუ 1935 წელს მშენებლობებზე 700 ექსკავატორი იყო, ხოლო 1936 წლის დასაწყისისათვის 1000 ცალია, 1936 წელს მშენებლობაში დამატებით მიიღებენ კიდევ 345 ექსკავატორს, ამასთან, 0,35 კუბიან ექსკავატორებთან ერთად მიიღებენ უმთავრესად მძლავრ ერთნახევარკუბიან და კუბიან ექსკავატორებს. თუ მშენებლობას 1935 წლის დასაწყისში 210 ამწე „დერეკი" ჰქონდა, ავჟამად მას აქვს 320 ამწე. ხოლო მომავალ წელს იგი კიდევ მიიღებს 300 ამწეს (6—15 ტონიანს), რაც ნიშნავს მშენებელთა შრომის უდიდეს მექანიზაციას.

ჩვენ განზრახული გვაქვს 1936 წელს მთელი რიგი მშენებლობანი მოვამარაგოთ მუხლუხა ტრაქტორებით, რომელსაც წინათ მხოლოდ სოფლის მეურნეობას ვაწოდებდით.

მაგრამ ჩვენ წინასწარ უნდა გავაფრთხილოთ მშენებლები, რომ მექანიზმების ეს უზარმაზარი პარკი მოსალოდნელ ეფექტს ვერ მოგვცემს, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება კარდინალური გარდატეხა მშენებლობისათვის გადასაცემი ახალი ტექნიკის ათვისებაში, არსებული მექანიზმების გამოყენებაში.

სტახანოვური მოძრაობა შრომის ნაყოფიერების ზრდის დაუშრეტელი წყაროა. იგი მკვეთრად აყენებს საკითხს, რომ აუცილებელია ნორმების გადასინჯვა და მათი უფრო მაღალ დონეზე დაწესება, ისე, რომ ამავე დროს კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ, პირიქით, ყოველნაირად გაძლიერდეს შრომის პროგრესიული—სანარდო ანაზღაურების დანერგვა.

1936 წელში ჩვენ უნდა მივაღწიოთ საპროექტო-სახარჯთაღრიცხო სამუშაოთა მოწესრიგებას. უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავდგით წინ მკირე ნაბიჯი იმ მშენებლობათა რიცხვის შესამცირებლად, რომლებიც ხარჯთაღრიცხვებითა და პროექტებით უზრუნველყოფილი არ იყვნენ, 1935 წლის დამლევისათვის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა.

1934 წლის 1 იანვრისათვის იყო 826 მშენებლობა, რომლებიც პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით უზრუნველყოფილი არ იყვნენ. მათი სამუშაოთა საერთო თანხა 3.300 მილიონ მანეთს უდრიდა. 1935 წლის 1 იანვრისათვის დარჩა მხოლოდ 316 ისეთი მშენებლობა, რომლებიც პროექტებით უზრუნველყოფილი არ იყვნენ. მათი სამუშაოთა საერთო თანხა 2,300 მილიონ მანეთს შეადგენდა. ხოლო 1935 წლის 10 დეკემბრისათვის ასეთი მშენებლობათა რიცხვი კვლავ გაიზარდა 891-მდე.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში 580 მშენებლობიდან პროექტებით უზრუნველყოფილია 320 და პროექტებით უზრუნველყოფილი არ არის 260, ამასთან პროექტებით უზრუნველყოფილ მშენებლობათა სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1.300 მილიონ მანეთს და ისეთ მშენებლობათა ღირებულება, რომლებიც პროექტებით უზრუნველყოფილი არ არიან,—800 მილიონ მანეთს.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში პროექტებით უზრუნველყოფილი არიან 324 მილიონ მანეთის სამუშაოთა შემცველი მშენებლობანი, ხოლო პროექტებით უზრუნველყოფილი არ არიან მშენებლობანი, რომელთა ღირებულება 397 მილიონ მანეთს შეადგენს.

კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატში პროექტებით უზრუნველყოფილ მშენებლობათა სამუშაოების ღირებულება 404 მილ. მანეთს შეადგენს, ხოლო იმ მშენებლობათა სამუშაოების ღირებულება, რომლებიც პროექტებით უზრუნველყოფილი არ არიან, — 318 მილიონ მანეთს.

ორჯონიკიძე. ეს 318 მილიონი მანეთი სტახანოვური ციფრია? (სიცილი).

მიქოიანი. ეს ის მშენებლობანია, რომელთა პროექტები არის, მაგრამ სახალხო კომისარს ჯერ არ დაუმტკიცებია.

მეჟლაუკი. ამ მშენებლობებზე ფაქტიურად პროექტები არ არის. მშენებლებმა, როცა ისინი მუშაობას იწყებენ, მტკიცე საპროექტო დავალების მიხედვით უნდა იმუშაონ. ჩვენში კი, თუ სახალხო კომისარს ხარჯთაღრიცხვა არ დამტკიცებია, გამოდის, რომ მშენებლობის მუშაობის პროცესში ყოველგვარი დავალება, ყოველგვარი პროექტი შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ ძალიან ბევრ შემთხვევაში მშენებლობა ნამდვილი პროექტის უქონლად აწარმოებს.

ჩვენ ისეთი გადაწყვეტილება უნდა გამოვიტანოთ, ო�mლიანი ხარჯთაღრიცხვებისა და პროექტების მიმართ უსასტიკეს წესრიგს ადგენს: ხარჯთაღრიცხვის შეცვლა, იქნება ეს გადიდება თუ შემცირება, მხოლოდ თვით სახალხო კომისარს შეუძლია. ამგვარად, პროექტს ოთმ მაქსიმალური სიმტკიცე მიეცეს, სახალხო კომისარიატის ფარგლებში დამტკიცებული ხარჯაღრიცხვა. მხოლოდ სახალხო კომისარს შეუძლია გადასინჯოს.

თვით დაპროექტების ღირებულებაც დიდ ტვირთად აწვება მშენებლობას. ჩვენ ვფიქრობთ, მიზანშეწონილია განვსაზღვროთ დაპროექტების ღირებულება კაპიტალდაბანდებათა, სულ ბევრი, 1,5 პროცენტთა, სამრეწველო მშენებლობაში და 2 პროცენტით—უფრო რთულ მშენებლობათათვის.

მშენებლობის მუშაობაში გაუმჯობესებას თან უნდა სდევდეს მუშაობის მექანიზაცია და მისი ხარისხის ამაღლება საშენ მასალათა მრეწველობაში, რომელიც მშენებლობაზე კიდევ უფრო მეტად არის ჩამორჩენილი თავისი მუშაობის გარდაქმნაში.

სუსტი მექანიზაცია, ძველი საკადრო მუშების უყოლობა საშენ მასალათა მოწველობასაც ახასიათებს. ისიც მართალია, რომ ჩვენ უკვე შეეძმენით მსხვილი საუცხოო მექანიზებული საწარმოები.

ორჯონიკიძე. კარგი ქარხნები.

მეჟლაუკი. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად მთავრობამ და პარტიამ დასახეს მთელი რიგი არსებითი ღონისძიებანი.

1936 წელს საშენ მასალათა საწარმოების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის გადაიდება დაახლოებით 600 მილიონი მანეთი, აქედან მარტო მექანიზაციისთვის 350 მილიონ მანეთზე მიდი. მთავრობა ავალებს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაამთავროს კონა-ბეტონის კონსტრუქციათა და ნაკეთობათა ქარხნების მშენებლობა და მოწყობა (გამოტოვებულია) ლენინგრადში, მოაწყოს, მოსკოვში, ლენინგრადში, დნეპროპეტროვსკში სვერდლოვსკში მზა ბეტონის ცენტრალური ქარხნები, ინერტულ მასალათა მექანიზებული საწყობებით.

1936 წელს მექანიზებულ უნდა იქნას არამადნეულ წიაღისეულთა 54 უდიდესი კარიერი, აგურის 23 უდიდესი ქარხანა, კირის 27 ქარხანა და ალებასტრ-თაბაშირის 21 ქარხანა.

წვრილი და საშუალო კარიერების მექანიზაციის უზრუნველსაყოფად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატმა უნდა მოამგაროს ეიძრა-ეი, 25-ამდე 150-მდე კომბინატსა ან სიმძლავრისა და აგრეგატების სათანადო ანაწყობის მქონე ელექტრო სადგურების წარმოება.

ცემენტის მრეწველობაში უნდა დამთავრდეს 6 ქარხნის მშენებლობა და რეკონსტრუირებულ და გაფართოებულ იქნას 7 ქარხანა.

ეს უდიდესი მოშაობა მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის სავსებით უზრუნველჰყოფს თვითღირებულების შემცირების დარგში მოცემულ დავალებათა შესრულების შესაძლებლობას.

არაძადნეული წიაღისეულთა ღირებულება 1936 წელს უნდა შემცირდეს, სულ უკანასკნელი, 15 პროც. 1935 წლის ანგმურ ღირებულებასთან შედარებით, მსხვილ კარიერებზე—20 პროცენტით, ცემენტის მრეწველობაში—10 პროცენტით. აგურის მრეწველობაში—15 პროცენტით, კირზე— 25 პროცენტით, ალებასტრზე—20 პროცენტით. თვითღირებულების შემცირების თვითეული პროცენტი დაფუძნებულია მთავრობის სათანადო დახმარებაზე მექანიზაციის ხაზით, საწარმოების რეკონსტრუქციისათვის ასიგნობათა ხაზით. თვითეული პროცენტი დაფუძნებულია სტახანოვურ მოძრაობაზე, რომელიც საშენ მასალათა მრეწველობაში ვითარდება.

მხოლოდ იმ გზით, რომ ჩვენი საამშენებლო მრეწველობა გადაქცეს ნამდვილ საამშენებლო ინდუსტრიად, რომელიც აითვისებს ახალ ტექნიკას, იმ მექანიზმების ბაზაზე, რომლებიც საშენ მასალათა მრეწველობას უკვე ამჟამად მოეპოვება, და რომლებიც ახლად ემატება მას, მხოლოდ ამ გზით შეიძლება წავიდეთ წინ ბევრად უფრო სწრაფად და უკეთესად, ვიდრე აქამდე ვიდოდით.

III. მ შ ე ნ ებ ლ ო ბ ი ს ი ნ დ უ ს ტ რ ი უ ლ ი მ ე თ ო დ ებ ი ს ა თ ვ ი ს

იმასთან ერთად, რომ მშენებლობა საფუძვლით მოვამზადოთ საბრძოლველად 1936 წლის ამოცანათა შესრულებისათვის—საქმის დაუყოვნებლივ გაუმჯობესებისა და მოწესრიგების გზით, მთელ საამშენებლო მრეწველობაში სტახანოვური მოძრაობის დაუყოვნებლივ გამოყენებისა და ფართოდ გადატანის გზით,—საჭიროა ახლავე დავიწყოთ მზადება მშენებლობის შემდგომი წლების საბუთათათვის.

მშენებლობის მრეწველობისა და გაიაფების საფუძველზე წარმოადგენს გადასვლა მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე მუდმივად მოძრავი მშენებელი ორგანიზაციებიო. რომელთა განკარგულებაში უნდა იყოს განვითარებული მატერიალური ტექნიკური ბაზა (მექანიზმები, ტრანსპორტი, საბრუნავი სახსრები, საცხოვრებელი ბინები), და მშენებელთა მუდმივი კადრები.

ამასთან ერთად ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ საშენ მასალათა წარმოება და ამ საქმისათვის 1936 წელს გაცილებით მეტი სახსრები გამოვყოთ იმასთან შედარებით, რასაც აქამდე ვიძლეოდით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საამშენებლო დეტალთა, ნახევარფაბრიკათა და კონსტრუქციათა წარმოების მსხვილ მრეწველობის შექმნას, რომელიც საშუალებას უნდა გვაძლევდეს გადავაქციოთ მშენებლობა სხვადასხვა ნახევარფაბრიკატებისა და დეტალების აწყობის ადგილად.

ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატ და მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ არსებული საამშენებლო ტრესტებისა და კანტორების ბაზაზე მუდმივადმომქმედი საამშენებლო ორგანიზაციების შექმნას იმ ვარაუდით, რომ 1936 წელს მათ შესასრულონ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, სულ უკანასკნელი, 70 პროცენტით, გზათა სახალხო კომისარიატის ხაზით—65 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—70 პროცენტი და კვების სახალხო კომისარიატის ხაზით—65 პროცენტი. მსხვილი მშენებლობის მთელი მოცულობისა.

ამ მუდმივი მშენებელი ორგანიზაციების მოწყობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება მშენებლობის მოედანზე გულდასმით უნდა იქნას მოფიქრებული. დამკვეთთა მშენებელი ორგანიზაციების ურთიერთობა გაფორმებულ უნდა იქნას სპეციალურად დადებული ხელშეკრულებებით (საიჯარო ხელშეკრულებანი).

მშენებლობის ორგანიზაციული ფორმების აღნიშნული მიმართულებით შეცვლა საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მძლავრი, ტექნიკურად შეიარაღებული საამშენებლო ინდუსტრია, რომელიც განუწყვეტლივ დაიგროვებს გამოცდილებასა და კადრებს.

საბჭოთა განხორციელების ძველი სამეურნეო წესის დროს ჩვენ არ მიგვეცა ადგილი მიგვეღწია მშენებლობაზე მუდმივი კადრების მეწარმეობისა და გამოცდილების დაგროვებისათვის. მშენებლობა მთავრდებოდა, კადრები იფანტებოდნენ, დაგროვილი გამოცდილება იკარგებოდა. რჩებოდნენ მშენებელთა მხოლოდ ხელმძღვანელი კადრები და ისიც ყოველთვის არა.

ცხადია, მშენებლობის ესოდენ უდიდესი მასშტაბით ზრდის პირობებში ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია შეეურიგდეთ მშენებლობის ორგანიზაციის ასეთ ნახევრადკუსტარულ მეთოდებს.

არ არის საჭირო ხაზი გავუსვათ იმას, რომ მუდმივი ხელშეკრულებათა საფუძველზე მომქმედი საამშენებლო ორგანიზაციების შექმნით ჩვენ ვქმნით ბაზას მშენებლობათა საფინანსო მეურნეობის მოსაწესრიგებლად, სამეურნეო ანგარიშის დასანერგად, მანეთით კონტროლის გასაძლიერებლად.

IV. გ ა ვ ა ძ ლ ი ე რ ო თ პ ა რ ტ ი ულ - მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ უ შ ა ო ბ ა

მშენებელთა ძირითადი კადრები წარმოადგენენ გუშინდელ კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომლებსაც მსხვილი სამრეწველო წარმოების სკოლა არ გაუვლიათ. მით უფრო აუცილებელი იმოკანაა მასობრივ - პოლიტიკური მუშაობის გაშლა მშენებელთა მილიონიანი მასის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ბევრი პარტიული და პროფესიული ორგანიზაცია მშენებლობებზე ცუდად მუშაობს. მათ დღემდე ვერ მოუხერხებიათ მუშაობის ისე გაჩაღება, რომ მშენებელთა მეული არმია შეადგინონ შემჭიდროებულ კოლექტივად. ამის საბოლოო დამამტკიცებელი საბუთია სტახანოვური მოძრაობის სუსტად გაშლა.

პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა, მუშაობა სტახანოვური მოძრაობის გაძლიერებლად და სტახანოველთათვის დახმარების გასაწევად, საწარმოო დისციპლინის ასამაღლებლად, ისეთი მატერიალურ -საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების შესაქმნელად, ოთმლებიც უნდა უზრუნველყოფენ მშენებელთა მუდმივი კადრების რაც შეიძლება დაჩქარებით შექმნას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ათასობით წვრილ მშენებლობებს, პატარ-პატარა კარიერებს, საშენ მასალათა პატარ-პატარა ქარხნებს, რომლებიც დაშორებული არიან მსხვილ ცენტრებს და სადაც პარტიულ - მასობრივი მუშაობა განსაკუთრებით სუსტია. ამ საწ

ტრ. ხუნდაძე

ყურადღება სამოქალაქო ისტორიის სწავლებას

საკ. კომპარტიის (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 მაისის დადგენილება სამოქალაქო ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საბჭოთა სკოლის განვითარების ისტორიაში.

წელიწადნახევარმა განვლო დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ მის გასანაღდებლად მიღებულ ზომებს სათანადო ნაყოფი გამოეღო. მართლაც, რუსეთში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით: შეიქმნა ავტორიტეტიანი კომისიები სახელმძღვანელოების დასამზადებლად, ამოშავდნენ დაინტერესებული ინსტიტუტები, სისტემატურად გამოდის სპეციალური ჟურნალი „История в средней школе“, სადაც არა მარტო მეთოდური წერილები იბეჭდება, არამედ მარქსისტულად შუქდება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რაც დიდ დახმარებას უწევს მასწავლებლობას. დროგამოშვებით ასეთსავე მომსახურებას უწევენ ისტორიის მასწავლებლებს სხვა ჟურნალებიც «Историк-Марксист», «Борьба классов» და სხვანი. მოწვეულ იქნა ისტორიის მასწავლებელთა ყრილობა მტკივნეული საკითხების განსარკვევად, გამოიცა მრავალგვარი თვალსაჩინო ხელსაწყოები, იბეჭდება ისტორიული რუკები და სხვ.

უდაოა, რომ ერთგვარი გარღვეცხა ისტორიის სწავლების საქმეში ჩვენშიც მოხდა. ისტორიის მასწავლებელი იცნობს 16 მაისის დადგენილებას, იცის, რომ ნაცვლად განყენებული დასკვნებისა, მან მოწაფეს ცოცხალი ფაქტები უნდა მიაწოდოს, ისტორიულ პირებზე უნდა შეჩერდეს, ქრონოლოგია და გეოგრაფია მომამზადოს. ყველაფერი ეს იცის, მაგრამ განხორციელებას ვერ ახერხებს, რადგან მას არც სათანადო ცოდნა აქვს და დღემდის არც ჯეროვან დახმარებას უწევენ. ისტორიის მასწავლებელი მასწავლებელთა შორის ჯერ კიდევ ყველაზე უმწეო მდგომარეობაში იმყოფება.

დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენს მასობრივ სკოლაში (არასრული საშუალო სკოლაში) სამოქ. ისტორიას საშუალო განათლების მქონენი ასწავლიან. უკეთეს შემთხვევაში ესენი არიან პედაგოგიური ტექნიკუმებისა და ათწლედების კურსდამთავრებულნი, ხშირად აგრონომები, ეკონომისტები. არცერთ მათგანს ისტორია არც უსწავლია და არც უსწავლია. ხშირად ერთადაიგივე პირი ისტორიასაც ასწავლის და მათემატიკასაც ან ბუნებისმეტყველებას. თუ ამას დავურთავთ იმ გარემოებას, რომ ამ მასწავლებლის ხელთ არ არის არც ერთი წიგნი, გარდა მოწაფეთა იმ სახელმძღვანელოებისა, რომელნიც დიდიხანია უარყოფილია (ნიკოლსკის, გუკოვსკის) და მხოლოდ სტაბილური სახელმძღვანელოების გამოშვებამდეა დატოვებული, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ მასწავლებელმა იცის მხოლოდ ის, რაც მოწაფემ უნდა იკოდეს, ისიც ამ წუნდებული წიგნების მიხედვით.

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე ისტორიის სწავლების გარდაქმნა და გაუმჯობესება ჩვენში განათლების ორგანოების მუშაობის ცენტრში ჯერ კიდევ არ არის მოქცეული და სათანადო ყურადღების გარეშეა დატოვებული. ცნობილია, რომ მასწავლებელი კლასში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს და პედაგოგიური პროცესის პროდუქციაც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მასწავლებლის მომზადება და წონა.ისტორიის მასწავლებელი ჯერ კიდევ მოკლებულია იმ მზრუნველობასა და დახმარებას, რომელიც საჭიროა მისი მომზადების დონის ასამაღლებლად და ნაყოფიერი მუშაობის წარსამართავად. რასაკვირველია, მომავალში, როდესაც უნივერსიტეტი, დასწრებული და დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტები ახალ კადრებს მოგვცემენ, მდგომარეობა ისტორიის სწავლების საქმეშიც საგრძნობლად გაუჯობესდება, მაგრამ ეს მაინც მომავლის საქმეა: ჩვენი მასწავლებელი კი დღეს საჭიროებს უშუალო დახმარებას. განათლების ორგანოები ვალდებული არიან ეს დახმარება დღესვე აღმოუჩინონ მას. დღიდან ც. კ-ის დადგენილებისა, ჩვენი დახმარება ისტორიის მასწავლებლებისათვის მხოლოდ იმით გამოიხატა, რომ გასულ ზაფხულში ერთთვიან კურსებზე 140 მასწავლებელი გადამზადდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის ხაზით. ისტორიის მასწავლებელი წელსაც იმგვარსავე მდგომარეობაშია, როგორშიც გასულ წელს იყო, ე.ი. მან უნდა ასწავლოს მოუმზადებლად, უსახელმძღვანელოდ. რუსულ ენაზე, თანახმად დაპირებისა, ისტორიის სახელმძღვანელოები მხოლოდ დეკემბერში გამოვა, მათი გადათარგმნა და დაბეჭდვა მაისამდის არ მოესწრება, გარდა ამისა, ამ დრომდე არც ისტორიული რუკები და თვალსაჩინო ხელსაწყოები იჭნება.

ისტორიის მასწავლებელი დაუყოვნებლივ დახმარებას, ხოლო საგანი სათანადო ყურადღებას დღესვე საჭიროებენ, რადგან 16 მაისის დადგენილება არა თუ რიგითს სკოლებში, არამედ ბევრ სანიმუშო სასწავლებელშიაც განხორციელებული არ არის. დახმარების შესაძლებლობა გვაქვს, თუ განათლების ორგანოები საჭირო მონდომებას გამოიჩენენ. სრულიად ადვილი, მაგრამ დიდი დახმარება იქნებოდა არასრული საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლისათვის ქართულ ენაზე იმ მასალის მიწოდება მაინც, რომელიც შარშან და წელს იბეჭდება ზემოდასახელებულ ჟურნალებში. ტფილისში რამდენიმე წყებად ოც-ოცდიანი კურსების მოწყობა, რომლებსაც რამდენიმე ასეული მასწავლებელი გაივლიდა, დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი შრომის პროდუქციის ზრდას. ტფილისის სკოლების ისტორიის მასწავლებელთა კონფერენციის მოწვევა განათლების კომისარიატს ერთ კაპიადაც არ დაუჯდებოდა, ხოლო ასეთი კონფერენცია, მოსკოვის მსგავსად, ბევრს საინტერესოს გვეტყოდა და დიდ შედეგებს მოგვცემდა.

თითქმის ვერცერთ სკოლაში დღეს ისტორიულ რუკას ვერ ნახავთ. მასწავლებელი იძულებულია ქვეყნები, ქალაქები, მდინარეები, ისტორიული ადგილები „ზეპირად“ დაუსახელოს, უკითხეს შემთხვევაში თვითმქმედებით გაკეთებული ან გეოგრაფიული რუკები გამოიყენოს. მაგრამ როდემდის? დროა ჩვენს სკოლებს ისტორიული რუკები და სხვა ხელსაწყოები მივაწოდოთ. ესეც ისევე საჭირო და აუცილებელია სკოლისათვის, როგორც სახელმძღვანელო. ტფილისში ჩვენ ყველაფერი მოგვეპოება, რომ ისტორიული რუკები დავბეჭდოთ და სკოლებს მივაწოდოთ. ამისათვის მხოლოდ სათანადო ორგანოების ამოძრავებაა საჭირო.

ამრიგად, თვითკრიტიკის წესით უნდა აღვიაროთ, რომ დღემდის 16 მაისის დადგენილებას სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ ჩვენში განათლების ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ სწრაფი და ენერგიული ზომების მიღებით შეიძლება მდგომარეობის დაუყონებლივ გამოსწორება.

მილიონერ-კოლმეურნეობის სტახანოველები

(ორთაჭალა, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა)

— ჩვენი კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი ოთხ მილიონ მანეთს უდრის, მომავალი წლისათვის შემოსავალი 8 მილიონ მანეთამდე უნდა ავიყვანოთ. ამისათვის კი მთავარია საკოლმეურნეო მინდვრებზე სტახანოვური სტილით მუშაობა— განაცხადა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა, პარტიის წევრმა ამხ. **ლავრენტი თურმანიძემ.**

— ახლა მთავარია სტახანოვური მეთოდით მუშაობა. თუ მარიამ დემჩენკომ შესძლო სოციალისტურ მინდვრის ჰექტარზე 500 ცენტნერი ჭარხალი აეღო, ჩვენთანაც არსებობს ყოველგვარი შესაძლებლობა ძირფესვიანად შევარყიოთ და გადავლახოთ ძველი აგრონორმები მოსავლის ზრდაში და უსაზღვროდ გავზარდოთ მოსავალიო—გაისმის კოლმეურნეებში.

ესი რა გულითადათ შეეგებენ სტახანოვურ მოძრაობას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტები და არაპარტიული ბოლშევიკები.

კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი თავს დასტრიალებს კოლმეურნე სტახანოველებს, პარტორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა სტახანოვური მოძრაობისა და მეთოდების საკოლმეურნეო მინდვრებზე გადმონერგვის საქმეს.

იქ, საკოლმეურნეო ბრიგადებში, ნათლად მოგითხრობენ ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილების ალექსი სტახანოვის, მარიამ დემჩენკოს და სხვათა გამარჯვებებს და იმას, თუ როგორ უნდა დავნერგოთ სტახანოვური მეთოდით მუშაობა მებოსტნეობის, მებაღეობის, მეყვავილეობის და მემარცვლეობის დარგებში.

კოლმეურნეობას ჰყავს სტახანოველები, რომლებმაც აგროტექნიკის დაუფლებით საკოლმეურნეო მინდვრებიდან მიიღეს მეტი მოსავალი, ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული და ამით დაარღვიეს ძველი „ტექნიკური ნორმები“

პარტიის წევრმა ამხ. **სერგო ჩარგეიშვილმა** 2½ ჰექტარზე ნორმით გათვალისწინებულ 65 ტონა პამიდორის ნაცვლად შესძლო 98 ტონა პამიდორის მოყვანა. მან გადალახა ძველი ნორმა.

№ 6 ბრიგადის ბრიგადირმა პარტიის წევრმა ამხანაგმა **ლავრენტი თურმანიძემ** გეგმით ჰექტარზე 25-ტონა პამიდორის ნაცვლად 40 ტონა მოიყვანა ე. ი. 15 ტონით გადააჭარბა.

სიმონ ქაჯაიამ (უპარტიო) მიწის განსაზღვრულ ნაკვეთზე ნორმით დაწესებულ 100.000 ძირი ყვავილის ნაცვლად მოიყვანა 250,000 ძირი ყვავილი, მანვე ზამთრისათვის 20.000 ძირი ყვავილის ნაცვლად უზრუნველჰყო 50.000 ძირი ყვავილის შენახვა.

ამხ. სერგო, ლავრენტი და სიმონ საკოლმეურნეო მინდვრების ნამდვილი სტახანოველები არიან.

პარტორგანიზაციამ გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოაწყო სტახანოველთა საუბრები. ამჟამად კოლმეურნეობაში 20 მეტი სტახანოველია.

მახარაძელი კოლმეურნეები მინდვრებზე სტახანოვურად მუშაობით პრაქტიკულად ადასტურებენ დიდი ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგს: „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გავრცელებას და კიდეც მიაღწია პირველ შედეგებს. მაგრამ პარტორგანიზაციის ზოგიერთი წევრი (**მიტო სარჭისოვი და ილია ბაქრაძე**) არც კი ცდილობს სტახანოვურ მოძრაობაში ჩამბას, ეს იმ დროს, როდესაც უპარტიო კოლმეურნეები სტახანოვური სტილით მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

გ. ხურცილავა.

ორი მამა და ორი შვილი შეჯიბრეგაში

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის სატენდერო საამქროს მექანიკურ განყოფილებაში, კედლის გასწვრივ ორთქლმავლის ტენდერის ნაწილებს ჩარხავენ, რანდავენ, ხვრეტენ...

საამქროში შესვლისთანავე თვალში გეცემათ № 27 სახარატო დაზგაზე რკინის ტარებით დამაგრებული ფიზკულტურის და „ზოტის“ (ტექნიკის დაუფლების) წიშანი. ამ დაზგაზე მუშაობენ სტახანოველი მამაშვილი—**სიმონ და რუბენ მამისაშვილები.** ისინი ერთმანეთს სცვლიან პირველ-მეორე ცვლაში.

მამაშვილს—სიმონ და რუბენ მამისაშვილებს ქარხანაში იცნობენ, როგორც დამკვრელებს. სიმონი კომუნისტია, რუბენი—კომკავშირელი. მამაშვილმა კარგად აითვისეს ტექნიკა. მათ ერთად ჩაბარეს „ფრიადზე“ ტექმინიმუმი ჩარხვის საქმეში, და თვითეულმა ჯილდოდ მიიღო „ზოტის“ ნიშანი. რუბენი ფიზკულტურის ნიშნითაც არის დაჯილდოებული.

მამისაშვილები დაუღალავად იბრძვიან სოციალისტური რკინიგზის ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის. ისინი ბევრჯერ დაუჯილდოებიათ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის.

მამისაშვილები საფუძვლიანად გაიკვნენ სტახანოვური მეთოდით მუშობას. სტახანოველთა საკავშირო თათბირზე ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სიტყვის პასუხად ისინი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, იკისრეს იმუშაონ სტახანოვურად, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

აი შედეგიც:

5 დეკემბერს დილის ცვლაში მუშაობდა **რუბენ მამისაშვილი** (შვილი). ამ დღეს მან გეგმა 247 პროცენტით შეასრულა. 6 მან. 24 კაპიკის ნაცვლად 15 მან. 42 კაპ. გამოიმუშავა.

იმავე დღეს 5 დეკემბერს, მეორე ცვლაში მუშაობდა მამა მისი—სიმონი, მაგრამ სამუშაოს წარმოებაში მოუწყობლობის გამო დღიური ნორმა ძლივს შეასრულა.

7 დეკემბერს მამაშვილს შორის უფრო გაიზარდა ბრძოლის სურვილი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. მამამ ამ დღეს გეგმა 200 პროცენტით შეასრულა. ხელფასი 7 მან. 28 კაპიკის ნაცვლად გამომიმუშავა 12 მანეთი 59 კაპ. ხოლო შვილმა—რუბენმა გეგმა 300 პროცენტით შეასრულა და 21 მან. 84 კაპ. გამომიმუშავა.

8 დეკემბერს მათ კიდევ უფრო მოხერხებულად მოაწყეს საქმე. ამ დღეს მამამ გეგმა 312 პროცენტით შეასრულა, გამომიმუშავა 22 მან. და 7 კაპეიკი ხოლო შვილმა —გეგმა შეასრულა 364 პროცენტით და ხელფასი გამომიმუშავა 26 მანეთი 54 კაპ.

— სიმონ! შენ მე-8 თანრიგის მჩარხავი ხარ და შვილმა დაგამარცხა?

— ჰმ! 32 წელიწადია ამ დაზგაზე ვმუშაობ—ამბობს სიმონი—მეც დავბერდი და დაზგაც... შვილი კი 19 წლის ბიჭია—ჯანიც უჯერის და სისწრაფეც... შრომაში კი არა, ხელობაში და კოდნაშიაც მჯობნის, თუმცა მე-5 თანრიგით მუშაობს. შვილის გამარჯვება მახარებს მაგრამ, ეს „ბებერი“ დაზგა მოშლილია, გასაჩარხი დეტალები ზედმეტი ნამატით მოაქვთ, ჩარხვაში ზედმეტი დრო სჭირდება, მჭრელი იარაღები ცოტა არ იყოს დაბალი ხარისხის ფოლადისგანაა დამზადებული, თორემ გეგმას 400-500 პროცენტით შეასრულებდით.

დამკვრელობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან აგრეთვე ამწყობ საამქროში მომუშავე უპარტიო ზეინკლები: მამაშვილი **კოსტა** და **ვასო ზიბროვები.**

4 დეკემბერს კოსტა ზიბროვს, როგორც საუკეთესო ზეინკალს, დაავალეს ორთქლმავლის ცილინდრის ტახანოვურად აწყობა, მაგრამ ზიბროვი დავალებას შეუშინდა და უარი განაცხადა. თითქოს შეუძლებელი იყო ცილინდრის ერთ დღეში აწყობა. ცილინდრი ასაწყობად გადასცეს ზიბროვის გვერდით მომუშავე **ალექსანდრე ჯაკავაშვილს.** ჯაკავაშვილმა ცილინდრი 6 საათში აააწყო, ნორმით გათვალისინებულ 37 საათისა და 25 წუთის ნაცვლად.

როცა ეს ამბავი კოსტა ზიბროვის შვილმა, 18 წლის ახალგაზრდა ვასო ზიბროვმა გაიგო, ითაკილა, მხდალი მამა გაკიცხა, შეარცხვინა. მეორე დღეს ცილინდრის აწყობა იკისრა ვასომ და შეჯიბრებაში მამა გამიიწვია.

კოსტამ ვერ უარჰყო და მიიღო შვილის გამოწვევა. 5 დეკემბერს მამაშვილს თითო ცილინდრი მისცეს ასაწყობად. ვასომ ცილინდრის აწყობა 6 საათში დაამთავრა, ამ დღეს გეგმა 624 პროცენტით შეასრულა. ხელფასი 7 მან. 52 კ. ნაცვლად გამომიმუშავა 50 მან. 99 კაპეიკი. ხოლო მამა-კოსტა ზიბროვი 9 დეკემბერსაც იმ ცილინდრზე მუშაობდა, რომელიც მას 5 დეკემბერს დილით მისცეს.

აი ორი მამისა და ორი შვილის შეჯიბრების მაგალითი სტახანოვური მეთოდით მუშაობაში.

კოსტა ზიბროვი მე-8 თანრიგის ზეინკალია. ეს უმაღლესი თანრიგია, მაგრამ სტახანოვურად მუშაობის გამოცდილება კოსტამ თავის შვილ ვასიკოსგან უნდა ისწავლოს.

დ. ჯღარკავა.

მსახიობი **ვასო გოძიაშვილი** ლუარსაბ თათქარიძის როლში

მსახიობი **გრ. კოსტავა** დათიკოს როლში

ბ. ჟღენტი

„ჩატეხილი ხიდი“

ახლა, როდესაც „ჩატეხილმა ხიდმა“, რომლითაც გაიხსნა მარჯანიშვილის სახ. თეატრის მიმდინარე სეზონი, უფრო ჩამოყალიბებული, დასრულებული სახე მიიღო, უკვე შეიძლება ეს ფრიად საყურადღებო სპექტაკლი გულდამჯდარად, საფუძვლიანად შეეფასოთ.

სპექტაკლი აგებულია მე-19 საუკუნის ჩვენი კლასიკური მწერლობის ერთერთი უდიდესი წარმომადგენლის—ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა საფუძველზე. მასალის დრამატურგიული დამუშავება ეკუთვნის ცნობილ დრამატურგს **შალვა დადიანს.** სპექტაკლის განხორციელებაში მონაწილეობენ ჩვენი რეჟისორული, აქტიორული და დეკორაციული ხელოვნების საუკეთესო ახალგაზრდა ოსტატები. ამიტომაც, უკვე ორ თვეზე მეტია, წარმოდგენა შეუნელებელი ინტერესით მიმდინარეობს და დიდძალ მაყურებელს იზიდავს.

ამავე დროს სპექტაკლი ეჭსპერიმენტული ხასიათისაა და მთელი რიგი პრინციპულ შემოქმედებითი საკითხების აღძვრის საბაბს იძლევა.

ქართული კლასიკური დრამატურგიის შედარებითი სიღარიბით უნდა აიხსნას ქართული თეატრის სწრაფვა კლასიკური ბელეტრისტიკისა და პოეზიის ნიმუშების გამოყენებისაკენ. მართლაც, ჩვენს კლასიკურ მწერლობაში მოიპოვება ბევრი ისეთი პროზული და პოეტური ნაწარმოები, რომელთა დრამატურგიული გადამუშავება უსათუოდ მოგვცემდა თვალსაჩინო ეფექტს. როგორც განვლილ ეპოქათა სცენიერ აღდგენის, ისე კლასიკური მწერლობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. გარდა ე. ნინოშვილისა და ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა, ამ მხრივ უხვ მასალას იძლევა ა. ყაზბეგის, ლ. არდაზიანის, გ.ორბელიანის, დ. კლდიაშვილის და სხვათა შემოქმედება.

ცხადია, საბჭოთა თეატრის რეპერტუარს ძირითადად უნდა განსაზღვრავდეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემატიკა და ამ თემატიკაზე დაყრდნობილი საბჭოთა დრამატურგია, მაგრამ რამდენადაც საბჭოთა სცენაზე საჭიროა კლასიკური მემკვიდრეობის აღდგენაც, ჩვენს თეატრს მოუხდება მიმართოს ბელეტრისტულ-პოეტურ ნაწარმოებთა დრამატურგიულ გადამუშავების ხერხსაც.

ქართულ საბჭოთა თეატრში ამ მხრივ თავისებური ტრადიცია ისახება—ეს არის ცდა ერთ დრამატურგიულ ნაწარმოებში ამათუიმ კლასიკოსის **მთელი** შემოქმედებითი სახის მოცემისა. ჩვენ უკვე გვაქვს ორი სპექტაკლი, შექმნილი ამგვარი მიზანდასახულობით. ამიტომ უკვე შესაძლებელია ამ პრაქტიკის საფუძველზე დასკვნა საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილი და შესაძლებელია კლასიკოსის ყველა ძირითადი ნაწარმოების საფუძველზე ერთი დრამატურგიული კონსტრუქციის შექმნა.

„ნინოშვილის გურია“, რომელიც ამგვარი ხერხით დამუშავა შალვა დადიანმა და განახორციელა მარჯანიშვილის თეატრმა, ჩვენი საზოგადოებრიობისა და კრიტიკის მიერ შეფასდა როგორც დადებითი ნაბუნებარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებში სხვადასხვა სუფეტური ხაზისა და პერსონაჟის მრავალფეროვანების გამო ვერ იყო მიღწეული ორგანული მთლიანობა. სხვაგვარი შედეგი მივიღეთ ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ასეთივე გადამუშავების გზით. აქ უფრო ნათილი გახდა სხვადასხვა ნაწარმოებთა დაკავშირების მეგანიკური ხასიათი და სტრუქტურული მთლიანობის მიღწევის სიძნელე. რითი აიხსნება ეს?

როგორც ვიცით, ნინოშვილი ერთიანი კონცეპციის მწერალია. მისი ლიტერატურული შემოქმედება თავიდან ბოლომდე ერთიანია. იდეაზეა დაყრდნობილი და ჟანრობრივადაც ერთფეროვანია. სულ სხვაგვარ მოვლენასთან ვიაქვს საქმე ჭავჭავაძის შემოქმედებაში. როგორც ვიცით, ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობა გაშლილია თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და შეიცავს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ პერიოდს. ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რუსეთიდან ახლადდაბრუნებული, რუსეთის მე-60 წლების პროგრესიული იდეების გავლენების ქვეშ მოქცეული, იმ დროინდელ ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრებას აფასებს როგორც აშმორებულ ჭაობს, ხოლო თვითონ ფეოდალური წოდების წარმომადგენელს — ამ ჭაობში დასადგურებულ ორფეხა ცხოველებად გვიხატავს. ამ პერიოდში ილია გამძაფრებით თავს ესხმის ამ ჭაობს და ჰქმნის პროგრესული, რადიკალური სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწარმოებებს: „ყაჯო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „ყაჯია ადამიანი?“. ამ ნაწარმოებებში ყველა ტიპი თავადაზნაურული წოდებიდან, დახატულია, როგორც გონებრივი და ზნეობრივი დეგენერაციის განსახიერება. უმეცრება, ვულური ინსტინქტები, ცრუმორწმუნეობა, არაადამიანური ეგოიზმი განსაზღვრავს მათ ბუნებას. სამაგიეროდ ყოველი ტიპი გლეხობის წრიდან აქ შესრულებულია სიმპატიით. ისინი წარმოადგენენ უსამართლოდ დაჩაგრულს, უანგარო შრომის და სამართლიანობისათვის ბრძოლის გრძნობით ამოძრავებულ ხალხს.

სხვაა 80-იანი, 90-იანი წლების ილია ჭავჭავაძე უკვე იგი „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენის თეორიას ასაბუთებს თავის მხატვრულ შემოქმედებაში, აქ იგი თვალსაჩინოდ ღალატობს თავის ჩვეულებრივ რეალისტურ სიმძაფრეს, ცდილობს შეანელოს სოციალური წინააღმდეგობანი და გამონახოს საერთო ენა წოდებათა შორის. ამ პერიოდში ილიას შემოქმედების საყრდენს ეროვნული მთლიანობის, კლასთა თანამშრომლობის იდეა წარმოადგენს. ამავე დროს იგი გადადის განყენებულ ფილოსოფიურ პრობლემებზე და რადგან მისი ეს თეორია აშკარა წინააღმდეგობაშია სოციალურ სინამდვილესთან, ილია უკვე სინამდვილედან აღებულ ტიპებს კი აღარ გვიხატავს, არამედ ჰქმნის თავის იდეებისა და შეხედულებების განსახორციელებელ სახეებს. ამგვარადაა აშენებული მისი შესანიშნავი ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“.

ცხადია, ამგვარი იდეური სხვადასხვაობის შემცველ ნაწარმოებთა გაერთიანება და მათი მოქცევა ერთ დრამატურგიულ ნაგებობაში დაუძლეველი ამოცანაა. ამავე დროს სტილისა და ჟანრის მხრივაც ილია მრავალფეროვანი მწერალია. იგი სწერს ლექსითაც და პროზითაც. მას აქვს მძაფრი სატირაც, იუმორიც და სოციალური დრამის პრინციპზე აგებული შესანიშნავი ნიმუშებიც. ეს გარემოება, ცხადია, შეუძლებლად ხდის ყველა ამ ნაწარმოებთა გაერთიანების საფუძველზე სტილისტურად მთლიანი ნაწარმოების მიღებას. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ ვერ მივიღეთ **მთლიანი სტილის** სპექტაკლი. იმ მრავალ და სრულიად სხვადასხვა სიუჟეტურ მდგომარეობათა ერთმანეთთან დაკავშირებამ, რომლებიც მოცემულია ჭავჭავაძის სხვადასხვა ნაწარმოებში, შეუძლებელი გახადა სცენიერ მდგომარეობათა სათანადო მომზადება. ამიტომ ხშირად ადგილი აქვს არალოგიკურ, გადასვლებს, ნახტომებს. ი. ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებაში დახატული პერსონაჟების თავმოყრამ ერთ ნაწარმოებში გამოიწვია ის, რომ პიესის გმირები სათანადო სისრულეთ და სიღრმით ვერ არიან გახსნილნი. ზოგი მნიშვნელოვანი ტიპი ამ სპექტაკლში უსიტყვოდ და სქემით არის წარმოდგენილი (ეკო, ზაქრო, კესო).

ზოგჯერ ადგილი აქვს ი. ჭავჭავაძის მხატვრული განზრახვის დარღვევასაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ლუარსაბ თათქარიძეს და დარეჯანს შორის არა ჰყავთ, მიუხედავად მკითხავებისა და ექიმბაშების საქმეში ჩარევისა, ყოველგვარი ცრუმორწმუნეებრივი ლონისძიებებისა, ლუარსაბის უნაყოფობა მაინც დაუძლეველი რჩება. ცხადია, ლუარსაბის ამგვარი ბედი გამოხატავდა ლუარსაბის სახეში წარმოდგენილი ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის გარკვეული ფენის უნაყოფობას, მის განწირულობას. სპექტაკლში კი სხვადასხვა ნაწარმოებთა პერსონაჟის ხელოვნური დანათესავების მეოხებით ლუარსაბისა და დარეჯანის შვილად გამოყვანილია „გლახის ნაამბობის“ პერსონაჟი — დათიკო. ცხადია, ამ შემთხვევაში ორღვევა ნაწარმოების აზრი.

„ჩატეხილ ხიდში“ ჩვენ ვერ მივიღეთ ილია ჭავჭავაძის მდიდარი და ძვირფასი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ექვივალენტური განსახიერება. ილიასათვის ჩვეული სიღრმე ადამიანთა ხასიათის დასრულებულად გამოკვეთისა, ტიპიურ მდგომარეობათა ბუნებრივად და დამაჯერებლად მოხაზვისა, აქ დაძლეული ვერ არის.

მაგრამ დრამატურგისა და თეატრის ნამუშევარის თვალსაჩინო ნაყოფი, დადებითი მნიშვნელობა მაინც **უდავოა.** შალვა დადიანმა მოახერხა ი. ჭავჭავაძის შემოქმედების დრამატურგიულ გადამუშავებაში გაემახვილებინა სოციალური პრობლემები, ძირითადად **სწორად** გადმოეცა ილიას დამოკიდებულება ამ პრობლემებთან და ამავე დროს არ დაემახინჯებინა იმდროინდელი სოციალური წყობის ობიექტური სურათიც. ეს ამოცანა კი მეტად რთულია და ძნელი. ამავე დროს „ჩატეხილ ხიდში“ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ისეთი ეპიზოდები, სადაც ილიასეული სიმკვეთრით და ცხოველმყოფელობით გამოხატულია ჩვენი წარსულის მნიშვნელოვანი მომენტები. ეს ეპიზოდები ძლიერ ზეგავლენას ახდენენ საბჭოთა მაყურებელზე და უექველად ასრულებენ მნიშვნელოვან იდეურ-მხატვრულ ფუნქციას. სპექტაკლის ერთერთი ღირსება ისიც არის, რომ იგი გამართულია სანიმუშო ქართული ენით. ეს წარმოდგენა, რომელიც უსათუოდ მაღლა სწევს ენობრივი კულტურის დონეს ქართულ საბჭოთა თეატრში, ასეთსავე დადებით ზეგავლენას ახდენს მაყურებლებზედაც.

რეჟისორმა **ქუშიტაშვილმა** ამ წარმოდგენაში გვიჩვენა მასალასთან დიდი გულმოდგინებით და პასუხისმგებლობით მიდგომის **უნარი.** იგი ამ წარმოდგენაში გამოსჩანს **ისეთ** რეჟისორად, რომლისთვისაც სპექტაკლის კომპოზიციის საფუძველს წარმოადგენს ნაწარმოების ის სოციალური იდეა, რომლის გამოვლინებისაკენ არის მიმართული წარმოდგენის ყველა ფორმალურ-სტილებრივი საშუალება. აგრეთვე უდავოა ამ წარმოდგენაში რეჟისორის კვალიფიკაცია აქტიორებთან მუშაობის მხრივ.

მსახიობის ოსტატობის თვალსაზრისით „ჩატეხილი ხიდი“ უეჭველად მაღალხარისხოვანი სპექტაკლია. მთელი აქტიორული ანსამბლი დამაკმაყოფილებლად ასრულებს ამოცანას. განსაკუთრებით გამოიჩინა ზოგი შემსრულებელნი. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ **ვასო გოძიაშვილი.** მან მოგვცა ლუარსაბ თათქარიძის სწორედ ისეთი გაგება და განსახიერება, როგორიც წარმოგვიდგენია ი. ჭავჭავაძის „ყაჯია ადამიანის“ მიხედვით. ეს როლი საუკეთესო ნიმუშია გოძიაშვილის არტისტული დიაპაზონისა და მისი შემოქმედებითი ზრდისა. ასეთსავე დონეს აღწევს **ელენე დონაური** ოთარაანთ ქვრივის როლში, მან გაანაცდევინა მაყურებელს ამ მეტად თავისებური და რთული პიროვნების მთელი შინაგანი დრამა, მისი ხასიათის თვისებები: უანგარო შრომისმოყვარეობა, სამართლიანობისათვის თავგამოდება, „პილპილწყაილი მადლი“ და სხვა.

საუკეთესოდ განსახიერებული როლების რიგს ეკუთვნის აგრეთვე არჩილის როლი — **შალვა ღამბაშიძის** შესრულებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მეტყველების მადალი კულტურა. თუმცა დრამატურგიულად არჩილის როლი მთელ რიგ უხერხულობას შეიცავს (იგი ზოგჯერ ილიას ნაწარმოებთა ავტორადაა გამოყვანილი, ზოგჯერ მათ მკითხველად), მაგრამ მაინც სცენაზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოსჩანს ფეოდალური ინტელიგენციის ლიბერალური ფენის ეს განზოგადებული სახე. **შაქრო გომელაურმა** პეპინს როლში მიაღწია ბუნებრივობისა და სისადავის ჭეშმარიტ ხელოვნებას. **ალ. გომელაურის** — გიორგი (ოთარაანთ ქვრივის ვაჟი) თუმცა გარეგნული პორტრეტით არ წააგავს ილიას მიერ დახატულ პერსონაჟს, მაგრამ თავისი ნაჭიერი და გულწრფელი შესრულებით უთუოდ ახერხებს ამ გმირისათვის დამახასიათებელ თვისებათა გაჭიბატვას. **კარგად** შესრულებულ როლებს შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე დარეჯანის როლი (**ც. წუწუნავა.**), **ზლახა ჭრიაშვილისა (ვ. სარაული),** **დათიკოსი (გ. კოსტავა),** **გაბროსი (გ. შავგულიძე),** **კესოსი (თ. ჭავჭავაძე),** **ხორეშანისა (ე. ჩერქეზიშვილი),** **ამბრინდოსი — (შ. ჯაფარიძე).**

სპექტაკლის დეკორაციული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ მხატვარს **პ. ოცხელს.** მთელ რიგ მომენტებში ოცხელი ჰქმნის სპექტაკლის მიმდინარეობასთან შეფარდებულ გარემოცვის ილუზიას. მის ოსტატობას მიეწერება მოქმედების ფონის ისეთი ხშირი ცვალებადობის მიღწევა, როგორსაც მოითხოვს ეს სპექტაკლი. მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლში ოცხელმა ვერ მოგვცა ისეთი მახვილი გემოვნების და მაღალი მხატვრული კულტურის ნამუშევარი, ისეთი მდიდარი ფანტაზიის და ორიგინალობის ნიმუში, როგორსაც იძლეოდა ეს — მეტად ნიჭიერი მხატვარი „**ურიელ აკოსტას**“, „**მშენებელი სოლნესის**

რაიონებში

სოფ. სიონი - მომავალი კურორტი

ყველა იცნობს ხევს, მოხევეებს, ყაზბეგს, მყინვარს. ხეი თერგისა და სნოს წყლის ორსავე ნაპირზე დგას. იწყება სოფ. კობიდან და სამხედრო გზის გაყოლებით სოფ. ყაზბეგამდე. მიდის ამ მხარეს ძაღლი მდებარეობა აქვს. დაფარულია ხეებით, ჰაერი სუფთა და ჯანსაღია. სოფელთა შორის უფრო ლამაზია—სიონი. თავისი ოთხკუთხიან კოშკით. სიონს, სხვა სოფლებთან შედარებით, მეტი ფართობი უჭირავს საქართველოს სამხედრო გზაც მას კარგად უდგება—ზედ სოფლის პირზე გადის. სიონიდან საუცხოო სურათია გადაშლილი. სოფელს ამშვენებს ლამაზი ტბა, რომელიც გამანაგებურებელ ხილს ვადარჩენია. მთელ ხევში ტყე არ მოიპოვება, მარტო სოფელ სიონს აქვს შერჩენილი ოაზისის მსგავსად. წყალი წყაროსია, (ცივი და გემრიელი. ტყის ერთ ამაღლებულ ადგილიდან მშვენივრად მოჩანს მყინვარწვერი. ამ სილამაზეს ემატება მეავე წყალი, რომელსაც მოხევეები „ვეძს“ ეძახიან ეს წყალი თერგის ნაპირას ამოჩუხჩუხებს და წარმოადგენს ნახშირმეავიან, სამკურნალო თვისების მქონე წყალს. ეს წყალი ცივია. მომეავო და შეუშხენა ზაფხულობით. მოაქვალ მოაგარაკეს იზიდავს. აქ მოდიან ,,სისხლიანკალულნი, ჯირკვლებით, ფილტვებით, და კუჭით დაავადებულნი. რამდენიმე წლის წინათ აქ პრემიტიული დასასვენებელი სახლიც ყოფილა მოწყობილი.

სიონი დაჯილდოვებულია ყველა იმ საშკურნალო თვისებით, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ერთერთ კეთილმოწყობილ კურორტად იქცეს ჯანმრთელობის ორგანიზაციამ ამაზე სერიოზულად უნდა იზრუნოს

ეკ. ვ. გუდიაშვილი

ხუთჯერ მეტი პროდუქცია

ქ. ცხაკაიას რამის სადეგომაციო ქარხანაში სარეცხი მანქანა არ იყო რენტაბელური, ვინაიდან 8 საათის განმავლობაში იგი ამზადებდა რამის მხოლოდ 80 კილოგრამ ფოთოლს.

აღნიშნული სარეცხი მანქანა კადააკეთეს ამხ. **მოსე ნაროუშვილის** შეტანილი წინადადების საფუძველზე, რომელიც იძლევა **5-ჯერ მეტ პროდუქციას და ნახევარჯერ ამცირებს მუშახელს.** ამხ. ნაროუშვილი რაციონალური წინადადება და სტახანოვური მუშაობის მეთოდები ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული.

ამხ. მოსე ნაროუშვილი მთლიანად დაეუფლა თავის საქმის ტექნიკას, დაიმორჩილა და წინ წასწია იგი. ნაროუშვილი ახალი ადამიანია. მას, ქარხანაში გვერდს უმშვენებენ კომკავშირელნი — **კოლია გოგოშიძე, ალექსანდრე გუნია** და ძველი მუშა **ლადო ქობულაძე.**

გრ. გეგენავა.

□ □ □

მწერალთა კავშირი

იანვარში მოსკოვში შესდგება საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმი, რომელიც გაანალიზებს საბჭოთა პოეზიის განვითარების ეტაპებს.

საქ. მწერალთა კავშირი ენერგიულად ემზადება პლენუმისათვის. პოეტების სექციამ უკვე ორჯერ მოაწყო დაუბეჭდავ ლექსების კითხვა, მწერალთა აქტივის სხდომებზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი ამხანაგი წარძატებით მუშაობს აქტიურ თემებზე და უანლოეს ხაწში გამოაქვეყნებს ძთელ რიგ ლექსებს და პოემებს.

პოეტ ილო მოსაშვილს მზადა აქვს რა მოდეხილი ლექსი ბელორუსიაზე, ამასთანავე ამთავრებს დიდ პოემას მიძღვნილს საქართველოს გასაბჭოებისადმი. პოემის ფინალად აღებულია საინტერესო მასალა—საქართველოს ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეში დარჩენილი ჩვეულება—ოჯახში გაკლილ შენაბვა და ძისი ღვთაებად მიჩნევა. ეს პოემენტი პოეტს აუღია როგორც სიმბოლო დაბეჭავებული, ძველი, უსამართლო ცხოვრებისა, პოემის ფინალში ახალი თაობა ბრძვევს ოჯახის უფროსები ბრძა რწმენას და ჰკლავს ოჯახის გველს.

ახალგაზრდა პოეტმა **გრ. აბაშიძემ** შემოქმედებით საღამოზე წაიკითხა სამი დაუბეჭდავი ლექსი, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. **გრ. აბაშიძეს** აღწერილი აქვს საკოლმეურნეო სოფლის რამდენიმე საინტერესო და დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო მომენტი.

სიმონ ჩიქოვანს მზადა აქვს დიდი პოემა „თემიფუროს I“. ეს ნაწარმოები უეჭველად შევა ძოწინაე საბჭოთა პოეზიის საგანძურში. პოეტს საუეეტში შესანიშნავად აქვს გამოყენებული ის ფაქტი, რომ თეიმურაზ I, როგორც მეფე, დღეს არაეის ახსოვს, მას იგონებენ და პატივს სცემენ როგორც პოეტს.

გ. ლეონიძემ წაიკითხა ლექსები მეტიდებზე და ტფილისზე, რომლებიც შესრულებულნი არიან ამხ. ლეონიძისათვის დამახასიათებელ მაღალი ოსტატობით. პოეტი მუშაობს დიდ პოემაზე, რომელიც შეეხება ამხ. **სტალინის** ახალგაზრდობას

ინსალმების ლირსია პოეტ **პაოლო იაშვილის** მუშაობა, მან სხდომაზე წაუკითხა სამი საუკეთესო საბავშო ლეკეი. საბავშო ლიტერატურაში მუშაობას დღემდე გაურბოდა ჩვენი მოწინავე მწერლების დიდი უმრავლესობა. ამხ. იაშვილის მაგალითი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს მდგომარეობა ახლა სწორდება. ლექსები შესრულებულია

24,5 კილოგრამი სიმინდი ერთ ოჯახზე

სოფ. ქარიატას (ზობის რაიონი) კოლმეურნეობა „ახალმა ცხოვრებამ“ მოსავლის აღება 30 ოქტომბერს დაამთავრა. მუყაითი და თავდადებული მუშაობით წელს უხვი მოსავალი მიიღეს. გეგმით გათვალისწინებულ 16 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მოსავალი აიღეს.

მოსავლის განაწილებისას კოლმეურნეებს თითო შრომადღეზე 24,5 კილოგრამი სიმინდი ხვდათ, შარშან კი შრომადღეზე 21 კილოგრამი მიიღეს.

დამკვრელმა კოლმეურნეებმა ბელლები აიღესეს. მაგალითად, კოლმეურნე თ. წულაიამ 245 ფუთი სიმინდი მიიღო, პ. ძაგანიამ—232 ფუთი, დ. წულაიამ—232 ფუთი და სხვ.

ვერა ჟვანია და საშიკო წულაია—აი კოლმეურნე ქალები, რომლებიც შრომაში მამაკაცებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

სას.-სამ. არტელი „ახალი ცხოვრება“ მომზადებული ხვდება ზამთარს. შეაკეთეს ბოსელი და პირუტყვი საკვებით მოამარაგეს.

კოლმეურნეობას ამ უკანასკნელ ხანში 52 ახალი წევრი შეემატა.

ვალ. გერგაია.

ფოტო ა. მალაფეევისა

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშათა სასადილო.

საგზოლთა მწერლების შემოქმედებითი მივლინება რკინიგზაზე

საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატისა და პირადად ამხ. **ლ. კაგანოვიჩის** ინიციატივით მთელი რიგი საბჭოთა მწერლები მივლინებულ იქნენ რკინიგზაზე შემოქმედებითი მუშაობისათვის. მოსკოვში, რკინიგზელთა ცენტრალურ გაზეთ „ტუდოროკის“ რედაქციასთან მოეწყო მხატვრული ლიტერატურის სპეციალური გამომცემლობა. უდიდესი ყურადღება ექცევა ამ მუშაობაში ნაციონალურ რესპუბლიკათა მწერლების ჩაბმას

ამასწინათ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში გაიმართა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა გზათა სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს და გაზ. „ტუდოროკის“ წარმომადგენლის ამხ. **ერმილოვის** ინფორმაცია ქართველი მწერლების რკინიგზაზე მიწვევის შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ ქართველი მწერლები დღემდეც მუშაობდნენ რკინიგზის თემაზე. მწერალმა **ნიკო ლორთქიფანიძემ** დაწერა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ რკინიგზელთა წარსული რევოლუციური ცხოვრებიდან, **მიხე გვასალიამ**—რომანი „ურალი“, რომელიც შეეხება ეფელტეხილის ელექტრიფიკაციას, **დემნა შენგელაია** ამეძახად აქვეყნებს რომანს „სტელა“. ტფ. ორთჟონიძეალთა შემკეთებელი ქარხნის მუშათა ცხოვრებიდან, მწერლებმა **ალ. ქუთათელმა, ვ. გორგაძემ, დ. ხუციშვილმა, ხ. წვერავამ** და სხვებმა ამ თემას უძღვნეს ძალი რიგი ნაწარმოებნი, მაგრამ ყოველივე ეს კიდევ არ ქმნა ამიერიდან რკინიგზას მწერლებმა უფრო მეტი ინტერესით უნდა მოჭკიდონ ხელი, უნდა დაგვიხატონ ის ადამიანები, რომლებიც წარმატებით იბრძვიან რკინიგზის მუშაობის სიბოლოო გამოჯანსაღ ბისათვის.

საქ. საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმმა უკვე გამოჰყო მწერლების ბრიგადა—ათკაცი და ეროი თვით მიაკლინა ისინი, რკინიგზაზე. თვითეულ მწერალს ამორჩეული აქვს სათანადო საწარმო ობიექტი. პოეტი **ხ. ეფული** იმუშავებს ტფილისბაქოს ხაზზე. მწერლები **ალ. ქუთათელი** და **ალ. მოსაშვილი** კახეთის ,,ტროზე, **ვ. გორგაძე**—ტფილისი-ხაშური, **მიხე გვასალია**—სურამის ეფელტეხილი და ჭიათურის შტო, **ხ. წვერავა**—სამტრედია, **ხ. თავაძე**—სამტრედია-ბათომი, **ირ. აბაშიძე**— სამტრედია-ფოთი, **ალ. გომიაშვილი**—ქუთაისი-ტყიბული, **ნიკ ზომლეთელი** მიძღვრებულია გაზ. „ბოლშევიტსკაია პუტეოვკას“ რედაქციაზე.

მწერლები ერთი თვის შემდეგ დაბრუნდებიან ტფილისში და **აკ.** რკინიგზის სამმართველოსთან დასდებენ ხელშეკრულებას ამორჩეულ თემაზე ნაწარმოების დაწერას შესახებ შემდეგ ამ თემის საჭიროების მიხედვით ხელმეორედ იქნებიან მივლინებული ადგილებზე.

რკინიგზაზე მიმავალი მწერლები 14 დეკემბერს მიიღო ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ამხ. **როზენცვეიგმა** და ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. **ბავერმანმა.**

გაზ. „ბოლშევიტსკაია პუტეოვკა“ სისტემატურად გააშუქებს მწერლების მუშაობას რკინიგზაზე.

საგზოლთა მწერლების ფოტოგრაფია

ქუთაისი. დეკემბერში ქუთაისის ბაზრებზე საგრძნობლად გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვა. პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად შეტანილა. 15 დეკემბერს პირველი ხარისხის კილო ხორცი 7 მანეთად ყიდებოდა, კილო ყველი — 7 მანეთამდე — 5 მ. 50 კაპ., სიმინდის ფქვილი 20 მანეთად ფუთი. ბაზრები სავსეა ხილით და ახალი ბოსტნეულით, რომელიც ძლიერ იაფად ეყიდება.

□

203 პროცენტით

ლანჩხუთის რაიონმა საგზაო მშენებლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საგზაო მშენებლობის 1935 წლის გეგმა ვადაზე ადრე, 15 დეკემბრისათვის, 203 პროცენტით შესრულა.

რაიონში უგზოობა მოსპობილია ყველა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა დაკავშირებულია ცენტრთან საავტომობილო გზით.

□ □ □ □

ფოტო **ი. ტორის**



კოლმეურნე მწყემსი სოფ. მაღალაშვილი (ელავის რაიონი) კოლმეურნეობაში.

პროდუქტების ფასები მცირდება

ქუთაისი. დეკემბერში ქუთაისის ბაზრებზე საგრძნობლად გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვა. პროდუქტების ფასები მნიშვნელოვნად შეტანილა. 15 დეკემბერს პირველი ხარისხის კილო ხორცი 7 მანეთად ყიდებოდა, კილო ყველი — 7 მანეთამდე — 5 მ. 50 კაპ., სიმინდის ფქვილი 20 მანეთად ფუთი. ბაზრები სავსეა ხილით და ახალი ბოსტნეულით, რომელიც ძლიერ იაფად ეყიდება.

□

203 პროცენტით

ლანჩხუთის რაიონმა საგზაო მშენებლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საგზაო მშენებლობის 1935 წლის გეგმა ვადაზე ადრე, 15 დეკემბრისათვის, 203 პროცენტით შესრულა.

რაიონში უგზოობა მოსპობილია ყველა სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა დაკავშირებულია ცენტრთან საავტომობილო გზით.

□ □ □ □

ფოტო **ი. ტორის**

კოლმეურნე მწყემსი სოფ. მაღალაშვილი (ელავის რაიონი) კოლმეურნეობაში.

პრეგული „საბჭოთა ამერ-კავკასია“

უცხოეთთან კულტურული კავშირის ა.-კ. საზოგადოება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით შეუდგა მდიდრულად დასურათებული კრებული — „საბჭოთა ამერკავკასიის“ მედგენის. ამ კრებულს უცხოეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოება გამოსცემს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

კრებულში მოთავსებულ მთელ რიგ სტატიებსა და ძალტურულ ნარკვევებში ასახული იქნება ამიერ-კავკასიის სოციალისტური მეეურეობა: ნავთის მრეწველობის, ელექტროფიკაციის, ჩაის მეურნეობის, ციტრუსების, ბამბის, თამბაქოს, და სხვ. ზრდა და განვითარება.

„ეკულტურისა და ყოფა-ცხოვრების“ გვეყოფილებაში ნაჩვენები იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები: სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი საშუალებლების, სკოლების, თეატრების, მუზეუმების, საავადმყოფოების, დისანსერების, კურორტების, დასასვენებელი სახლების და სიბავშვო ბაგების სწორაფი ზრდა საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში.

გამოსაცემი კრებულის დამახასიათებელი ილუსტრაცია იქნება მოძრავი გამოფენა „საბჭოთა ამერ კავკასია“, რომლის მოწყობას უკვე შეუდგა უცხოეთთან კულტურული კავშირის ა.-კ. საზოგადოება. ა.-კ რესპუბლიკების სამეურნეო-კულტურული ზრდა ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მაკეტებით, პანო-სურათებით, მატერიალი დიაგრამებით და ალბომებით. აქ ნაჩვენები იქნება ძველი და ახალი, ფეოდალი, ბაეკი, და ეროვანი, ჩვენი ინდუსტიალურები, კულორტები, დასასვენებელი სახლები. განზრახულია მოძრავი გამოფენა გაიკავნეს პარიზში, ლონდონში, ბერლინში, სტამბოლში, პრაგაში და თეირანში.

□

„მოგზაურობა ევროპაში“

1936 წლის დამდეგისათვის სამეცნიერო ინფორმაციის საქართველოს ფილიალი გამოსცემს ნაწარმოებებს წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან—ესაა ცნობილი ქართველი მწერლის **საბა სულხანოვ ბელანის** „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც დოკუმენტალური პროზის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს და რომელიც დიდი ისტორიულ - გეოგრაფიული მნიშვნელობა აქვს.

წიგნი წარმოადგენს 1713—1717 წლებში ორბელიანის დიპლომატიური დავალებიით მოგზაურობის ჩანაწერებს სიერანგეთსა და იტალიაში.

ორბელიანი იძლევა საფრანგეთის, იტალიის, აგრეთვე სტამბოლისა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროების—სამეგრელოსი და აფხაზეთის (რომლებიც იმ დროს თურქეთის ბატონობის ქვეშ იყვნენ) დაწვრილებითის და ძართალ აღწერას, გვაცნობს ნახტლი ადგილების მკვიდრთა ცხოვრებას და ზნეჩვეულებებს.

ხელნაწერი „მოგზაურობა ევროპაში“ დაცულია საქართველოს მუზეუმში, წიგნი გამოიცემა ამ ხელნაწერის მიხედვით. დართული ექნება მწერალ გ. ლეონიძის ბერი შედგენილი ისტორიული და გეოგრაფიული მაჩვენებლები და ხელნაწერის ფოტოტიპი. წიგნი გამოვა პროფ. კ. გორდელაძის redაქციით.

ხელოვნება

„გიჟორი“ მოზაარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 12 დეკემბერს დაიდგა პრემიერა — დარბინიანის პიესა „გიჟორ“ (ოვ. თუმანიანის მოთხრობის მიხედვით). პიესა ქართულად სთარგმნა ი. გრიშაშვილმა, დადგმა რეჟისორ ა. ყიასაშვილისა, მხატვრული გაფორმება ნ. ყაზბეგისა. მუსიკა და წერილია კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილის მიერ.

შემდეგ პრემიერად თეატრი ამზადებს დრამატურგ გ. ბაიზოვის ახალ პიესას ებრაელთა ცხოვრებიდან „ჭინჭარი“. პიესას დასდგამს რეჟისორი ბ. გამრეკელი, მხატვარ ს. ვირსალაძის მონაწილეობით.

○

ოპერა „რევიზორი“

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა ამ დღეებში მოისმინა კომპოზიტორ დ. ნ. შვედოვის ოპერა „რევიზორი“, რომელიც მოსკოვის დიდი თეატრის მიერ მიღებულია დასადგმელად მიმდინარე სეზონში.

□

ფილმი საბჭოთა საქართველოს მილწევების შესახებ

საქართველოს სახკინმრეწვამ გამოყო ბრიგადა რეჟისორების: კალატოზოვის, ლოლობერიძის, მიტროფანოვის და ჯალიაშვილის, ოპერატორების: ბუთავლეის და პომპეანსკის შემადგენლობით ახალი სრული მეტრაჟიანი ხმოვანი ფილმის „გამარჯვებამთ 15 წლის“ (საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავი), გადასაღებად.

ფილმის სცენარს სწერს კინოდრამატურგი მდივანი.

□

სპორტი

ფეჯიბრება ფეხბურთში

სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი ამ ორი თვის წინად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, მიმდინარე სეზონის პირველობის გათამაშებაში მან შეძლო ტფილისის რამდენიმე საუკეთესო გუნდის დამარცხება.

15 დეკემბერს „დინამოს“ ახალ სტადიონზე, გაიმართა ა.-კ. ინდუსტრიული ინსტიტუტისა და „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კალეგიანური შეჯიბრება. ინდუსტრიული ინსტიტუტის ფეხბურთელებთან მეხვედრად ერთხელ კიდევ დაამტკიცა „სპარტაკის“ ყოველდღიური ზრდა. შეჯიბრების დაწყებისთანავე თამაში მეტად სანტერესოდ განვითარდა; „სპარტაკის“ გუნდის ნახევარდამცველნი კარგად იგერიებდნენ ინსტიტუტელების იერიშებს ჰაეთამაშში „სპარტაკელებმა“ მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად ბოლოტოლმა შესძლო პირველი ბურთის გატანა. თამაში უფრო გაშეავდა. ინსტიტუტის გუნდის კარებთან გახშირდა სახიფათო მომენტები. პირველი ნახევრის ბოლო წუთებში ინიციის მიერ კუთხეში დარტყმული ბურთი შეეარდა სტუდენტთა გუნდის კარს და ამრიგად თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 1:1 ანგარიშით.

ტემპი არ შეცვლილა შეჯიბრების მეორე ნახევარშიც. თამაშის მეოცე წუთზე სტუდენტები ჯარიმდებიან „პენალტით“. ბერძენიშვილის მიერ კუთხეში დარტყმულ ბურთს მეკარე კასრაძე ვერ იგერიებს და ინსტიტუტელები კვლავ (ინტერიოდან იწყებენ თამაშს. ხუნში მოქცევის გამო მსაჯმა თამაშიდან გამოიყვანა ინდუსტრიული ინსტიტუტის მარჯვენა გარეშარი ბოლოტოლი. მიუხედავად ამისა, მეორე ნახევრის ბოლო წუთებში უპარატისმა მაინც სტუდენტების ხელთ არის, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ანგარიში არ შეცვლილა და ამრიგად შეჯიბრება დასრულდა 2:1 ანგარიშით „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

□

ქრონიკა

— **პროფ. ი. მარის ხსოვნის საღამო.** ტფ. სახ. უნივერსიტეტში (მე-84 აუდიტორია), დღეს საღამოს 8 ს. გაიმართება საენათმეცნიერო წრის საჯარო სხდომა, მიძღვნილი პროფ. ი. ნ. მარის ხსოვნისადმი

— **სახ. უნივერსიტეტის** № 88 აუდიტორიაში დღეს საღამოს 8 ს. შესდგება პროფ. **გ. ნათაძის** მოხსენება თემაზე: „ბრძოლა ბურეეაზიული კონცეპციის წინააღმდეგ ძველ ისტორიაში“. შესვლა მოსწავლეთ ბილეთებით.

— **დისკუსია,** მწერალთა სასახლეში ღღეს საღამოს 7 ნახ. ს; გაიმართება დისკუსია თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის შესახებ მოძხსენებელი პროფ. **გ. თავზარაშვილი.** შესვლა თავისუფალია.

დადგენილება

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა— და საქართველოს სრ.ც. საბჭ. რსს. სახალხო კომისართა საბჭოს.

სახანძრო წესების დარღვევისათვის დასადები ჯარიმის შესახებ.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა ჩაუტარებლობისათვის პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად და სახანძრო დაცვის განსამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა და სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ფულად ჯარიმას 200 მანეთამდე.

2. ჯარიმის დადება და გადახდევინება დაეკისროთ ა.-კ სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) ორგანოებს.

3. წინადადება მიეცეს ა.-კ. სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს საქ. სსრ-ში — შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **შ. მახარაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ძღენტი**

1935 წ. ნოემბრის „20“ ტფილისი.

□

შემთხვევები

ქორდობა. 14 დეკემბერს საღამოს ძოქ. ე. გ. შარაშვილის (სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები), რომელიც მატარებელს ელოდებოდა, სადგურზე ნიეთები მოპარეს. ქურდი ჰ. ა. სისოევი (უბინო), შეიპყრეს. ძას ალმოაჩნდა ყველა ნაქურდალი ნიეთი, რაც დაზარალებულს დაუბრუნეს.

პირუტყვის ქურდობა. დაამატებრეს ყარა ხმელი-ოღლი და შამულ კასუმ-ოღლი (სოფ. ყაშალო ბორჩალოს რაიონი), რომლებიც ორ აქლემს მიერეკნდნენ. ორგორც ეგმოიერკვა აქლემები მათ სოფ. ბორჩალოს კოლმეურნეობაში მოეპარნათ. აქლემები კოლმეურნეობას დაუბრუნეს. ქურდები შეიპყრეს.

ავტომობილის დაჯახება. კალიაევის მოედანზე მსობუქი ავტომანქანა № 27-00 (მოგზური ვ. ვ. კონდრატიევი), მოძრაობის წესების დაუცველობის გამო დაეჯახა № 9—13 საბარგო ავტომანქანას და დაზიანა. კონდრატიევს პასუხისგებაში აძახეენ.

ხანძარი. ინთებულია ღუმელის უყურადღებოდ მიტოვების გამო ძოქ. თომურიძის ბინაში (ძნელაძის ქ. 27), გაჩნდა ხანძარი, რომელიც ჩაქრეს ადგილობრივი სამეანელებით მეხანძრეთა რაზმის მოსვლამდე ზარალი უმნიშვნელოა.

ხულიგნობა. ქუჩაში ხულიგნობისათვის შეიპყრეს: შ. ი. ელიკაშვილი (ფარავნელის ქ. 39), ე. ა. კილასონი (ბარბოს ქ. 34) და ვ. ხ. ხიხელი (ბოქორაულის ქ. 16). ხულიგნები ოსმალოთ-ბაზრის პასუხისგებაში მისცეს.

□

რადიო-გადაცემა 17 დეკემბრისათვის

12—00—აღმოსავლური მუსიკის კონცერტი. **16—40**—გამართობელი მუსიკის კონცერტი. **17—30**—საუბარი—კონცერტი მუსიკალური განათლების ციკლიდან. **18.10** გადაეცემა ომსკის მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე. **18—25**—მუსიკალური ფფურცელი (გრამოფონით). **19—00**—დაუსწრებელი პარტსწავლების ინსტიტუტის ლექცია ქართულ ენაზე. **20—00**— კამერული კონცერტი (სახ. კვარტეტის გამოსვლა მიკროფონთან). **20—50**—შექსპირის „ოტელო“ ქართულად. **21—40** — სიმფონიური კონცერტი. მონაწილეობენ — სიმფონიური ორკესტრი **შ. აზმაიფარაშვილის** დირიჟორობით და პროფ. **ვირსალაძე** (როიალი).



	18 დეკემბერს	20 დეკემბერი
	3 ამონ. 3 წარმ.	მახარაძის ახ. კოლ
	ამონემენტის გარეშე	მეურნეობის
		5 ამონ 3 წარმ
	in tyrannos	**კლატო ნ კრეჩეტი**
		კლატო ნ კრეჩეტი

მიმდინარე კინოფილმი პროდიერა ძხადდება სეროო კლდიანმილია

შემოქმედების აზნაურები.

სალარო ღია 11—2. 6—9 საათ. დასაწყისი 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი

სეზონი 1935—36 წ.

18 დეკემბერი, ღია წარმოდგენა

კერნეიჩუკი

„ეროვნ კრეჩეტი“

ტრამ 3 ნოემ. და 5 სუოათად, თარგ ანი ალ. ბოკერიანი

დადგმა—**შ. ალსაბაძის**

მხატვარი—**ს. ქოგულაძე**

მუსიკა—**ი. ტუსპია** ხელოვნ. დამსაბ. მოღვაწე

დირიჟორი—**მ. ძიძიშვილი.**

ოსტუფენები—**ს. ნიეაზაძე**

ოპერ. ოპერა მეორე და ტრაპეზი ხელოვნ.—**გ. ბაკურაძე.**

ალარო ღია 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე. 473

[illegible]	[illegible]	„ბრძოლა კილევისათვის“
[illegible]	[illegible]	„არშაულა“
„ახალი ამბები“	[illegible]	„არშაულა“
[illegible]	[illegible]	„კეტო“ (კეტერ)

ტრამვაის წლიური წინასწარ ბილეთების შესახებ

ტფილისის ქალაქის ოკინიგზების ტრეკი იუწყება, რომ ტრამვაის წლიური ბილეთები 1936 წლისათვის

გაიცემა მხოლოდ 1936 წლის 1 იანვრამდე

ამ ვადის შემდეგ ბილეთები არავის მიეცემა

449 **დირექტორი ბ. რაზმაძე.**

ტფილისის სახმედინ. ტ ტ ტ ი ს ბ ბ ბ ი ი ფ ფ ფ ბ ბ ბ ა რომ 935 წ. 24 დ ე ბ ერს დ ი ლ ის 10 საათზე, ა ნ ა ტ ომ ი ი ინსტ ი ტ ტ ტ ს ა უ დ ი ტ ო ო ი ა ში (ქ ა ბ ოს 51) შ ე ა ბ ა ბ ა ს ა ბ ბ ბ ა ბ ბ ბ ა ბ ბ ბ